ვერსია

№5 (1547) 3 — 9 მარტი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

გია ხუხაშვილი: „გახარია პოლიტიკაში სერიოზული ელემენტი იქნება!“

„ფუნთუშებზე გაზრდილი ბავშვების დიქტატორობა, მკაცრი ხელი და რკინის მუშტი არ გაიშვა!“

მართვადი ქაოსი

რა ხეირს ნახავს კრემლი საქართველოში არეულობით – ყველაფერი ის, რაზეც ხმამაღლა საუბარს ერიდებიან

თაკო ჩარკვიანი: „ორმაგ სტანდარტს ვერ გამომაპარებენ!“

„ბოკერია-ბურჯანაძის სულელური თამაშისთვის არ მცალია!“

გოგონა საკუთარ ქორწილში დანით აჩეხეს



ვინ არის ფოტოგრაფი, რომელიც პატარძლებზე „ნადირობს“ – სისხლიანი ქორწილების ქრონიკა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა სკანდალში გაეხვა ფრიდონ ინჯია და რა პრეტენზიები აქვს კახა ბექაურის უწყებას დეპუტატთან

ფრიდონ ინჯია: „კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ხელისუფლება შეცდომაში შეჰყავს!“

სამმა არასრულწლოვანმა „აბრეზით“ გენერლის მძღოლი თვალში დაჭრა, ქალი კი ცემით მოკლა

წყნეთის გზაზე მომხდარი კრიმინალის ექსკლუზიური დეტალები

საპატრულო პოლიციამ, „ფორმულას“ ჟურნალისტზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ბრალდებით, სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, სამი პირი – 1993 წელს დაბადებული ვ.გ., 1988 წელს დაბადებული გ.ს. და 1988 წელს დაბადებული ს.ს. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულებმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯგუფურად ფიზიკური ძალადობა განახორციელეს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტის – 1985 წელს დაბადებული ვ.ს.-სა და მისი მეუღლის ნათესავის – 1986 წელს დაბადებული ნ.მ.-ს მიმართ.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, საქმეზე ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამივე ბრალდებული დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო შეგახსენებთ, რომ სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშანს, იურიდიული ძალა უნარჩუნდება 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით, მიმოქცევაში დარჩენილია დიდი რაოდენობის ძველი ნიმუშის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტო მოუწოდებს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიმართონ სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს, სანომრე ნიშნის შესაცვლელად.

აღსანიშნავია, რომ დღეიდან, ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოყვანა და დათვალიერება, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავის ნომერი, ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

გარდა ამისა, დღეიდან, მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) საშუალებით, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრე ფიზიკურ პირს შეუძლია, დისტანციურად მოითხოვოს ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით იმ შემთხვევაში, თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავის ნომერი, ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

დისტანციურად შეცვლილი ახალი ნიმუშის სანომრე ნიშნის მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეკვეთისას მითითებულ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში.

ამ ეტაპზე, დისტანციურად ნომრის შეცვლის სერვისი ვრცელდება მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ახლით შეცვლისას.

ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან, მომსახურების სააგენტოს რუსთავის ტერიტორიულ ერთეულში, მოქალაქეებს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სერვისების მისაღებად, შეეძლებათ, ანგარიშსწორება აწარმოონ პლასტიკური ბარათის საშუალებით, სააგენტოს ოპერატორებთან.

მომსახურების სააგენტო მოუწოდებს მოქალაქეებს, ადგილზე სერვისების მისაღებად გამოცხადდნენ პირბადით, თანმხლები პირების გარეშე.

პოლიციამ შატილის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ორი პირი – 1986 წელს დაბადებული შ.ბ. და 1966 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. მათ ბრალი ედებათ ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებაში, რამაც ორი, ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2020 წლის 23 აგვისტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბისოს მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დაიღუპა 17 ადამიანი, სამი კი მძიმედ დაშავდა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტურისტული კომპანია შპს „თრეველ ჯის“ დირექტორი, 1986 წელს დაბადებული შ.ბ. და ამავე კომპანიის მიერ დაქირავებული სამგზავრო მიკროავტობუსის მესაკუთრე, 1966 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებას, რამაც ორი, ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შარლ მიშელი: „საქართველოში ჩემმა ვიზიტმა, სულ მცირე, თვალი ამიხილა“

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი საქართველოში ვიზიტს სოციალურ ქსელში აფასებს:

„საქართველოში ჩემმა ვიზიტმა, სულ მცირე, თვალი ამიხილა. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის არსებობა სამხრეთ ოსეთში, იმის დასტურია, რომ ევროკავშირის ყოფნა ასეთ რეგიონში ზოგჯერ აუცილებელზე მეტია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსგავსი რეგიონებისთვის. მავთულხლართები ჰყოფს ოჯახებსა და ბავშვებს სკოლაში სიარულის საშუალებას არ აძლევს. ეს დაუშვებელია.

მე კვლავ ვადასტურებ ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ევროკავშირი და, მათ შორის, პირადად მეც შეშფოთებული ვართ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისითა და პოლარიზაციით. ამის მიუხედავად, დღეს, მე თითოეული პოლიტიკური აქტორისგან ვიგრძენი სურვილი იმისა, რომ დაიწყონ დიალოგი, წინ გადადგან ნაბიჯი და იპოვონ გამოსავალი შექმნილი რთული ვითარებიდან. მხარეებთან შეხვედრის შემდეგ, მე თითოეული მათგანი შეხვედრაზე მოვიწვიე, რაც მაგიდის გარშემო მსხდარ მხარეებს შორის, სპონტანურ და ღია დებატებში გადაიზარდა. ევროკავშირის პრიორიტეტი ყოველთვის იყო საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამ მიმართულებით კიდევ გვაქვს სამუშაო. დღეს ამაყი ვარ, რადგან სწორი მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა.

გადავწყვიტე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭო ბრიუსელში, მარტის შუა რიცხვებში ჩავატარო. ეს იქნება შეხვედრა, სადაც განვიხილავთ იმ პროგრამას, რომელიც სხვადასხვა რთული საკითხის გადაწყვეტის მხრივ იქნა მიღწეული. დიდი მადლობა, საქართველო, ასეთი თბილი მიღებისთვის“.

„ჰოთნიუსი“

გაგრძელდება თუ არა სკოლებში დისტანციური სწავლება საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ, მოსწავლეებს დისტანციური სწავლების მოდელის არჩევის უფლება არ ექნებათ. ამის შესახებ განათლების სამინისტროში განაცხადეს.

„როგორც საჯარო, ასევე, სკოლებთან მიმართებაში, სამინისტროს მხრიდან ასეთი მითითება არ არის. გავრცელებული ინფორმაცია არასწორია“, – განაცხადეს უწყებაში.

„ჰოთნიუსი“

კახა კალაძე: „დიალოგს არ აქვს ალტერნატივა“

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, არც ახლა და არც მომავალში.

„მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ დიალოგს არ აქვს ალტერნატივა, არც ახლა და არც მომავალში. მნიშვნელოვანია კომპრომისები და ეს პროცესები გვაჩვენებს, ვის აქვს სურვილი ქვეყანაში იყოს სიმშვიდე და სტაბილურობა. კარგი იქნებოდა, ეს პარტნიორების გარეშე შეგვეძლოს, მინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადო.

ქართული პოლიტიკა ისე უნდა განვავითაროთ, რომ პოლიტიკურ პარტიებს, ჩვენი მეგობრების ჩართულობის გარეშე, შეეძლოთ მაგიდასთან დასხდომა და გადაწყვეტილებების მიღება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ჰოთნიუსი“

მართვადი ქაოსი

ნინო დოლიძე

რა ხეირს ნახავს კრემლი საქართველოში არეულობით – ყველაფერი ის, რაზეც ხმამაღლა საუბარს ერიდებიან

ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ გამოვიყენო, ჩვენ, ყველანი, შავ-ბნელი 90-იანებიდან მოვდივართ. შესაბამისად, „უცნობის“ მაშინდელი ჰიტიც კარგად გვახსოვს, თითოეული ჩვენგანი ხმის ჩახლეჩვამდე რომ ვმღეროდით, ქვეყანაშია ფერები მუქიო... მერე ეს მუქი ფერები თვალშისაცემად გაფერადდა. დღეს? დღეს კი... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ქვეყანაში ისევ მუქი ფერებია. ყოველ შემთხვევაში, იმდენი გაუგებარი რამ ხდება, რომ რაღაცნაირად, „კრიზისში დაკარგულებს“ ვემსგავსებით. ყველაფერი ეს კი ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა – სახეზეა მართვადი ქაოსი. საერთოდ, „მართვადი ქაოსი“ პოლიტიკასა და პოლიტოლოგიაში ნაცნობი ტერმინია. ამასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამ ტერმინის ეტიმოლოგია მოსკოვთანაა დაკავშირებული. აი, მაგალითად, ექსპერტი, დავით გამცემლიძე, ერთ-ერთ თავის სტატიაში წერს:

„ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობდა და კვლავაც დიდხანს იარსებებს ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის უმთავრესი ატრიბუტები და შესაბამისი სისტემა. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ფორმალური დაშლისა, ეს სივრცე კვლავ ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. მაგალითად, ეკონომიკური რეალობაა, რომ კომუნიკაციები მოსკოვიდან იმართება ანუ ვთქვათ, თურქმენეთს არა აქვს საშუალება, ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე (ბუნებრივი აირი), მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებლად გაიტანოს, რუსეთის გვერდის ავლით. ისევე, როგორც უზბეკეთი, დიდხანს ვერ იპოვიდა ბამბის გასაღების ბაზარს ვერსად, რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების გარდა“.

დიახ, სსრკ დიდი ხანია, დაიშალა, მაგრამ ბავშვმაც კი იცის, რომ კრემლი საკუთარ გავლენებზე უარის თქმას დღემდე არ აპირებს. ამიტომაც, ყველაფერი ცუდი, რაც მხოლოდ საქართველოში კი არა, სხვა ექსმოძმე რესპუბლიკებში ხდება (ცხადია, აქ ბალტიისპირეთის სამ ქვეყანას არ ვგულისხმობთ), რეაქციული რუსეთის პოლიტელიტას უხარია. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ნამდვილად არ მგონია, რომ ორი – კეთილი და ბოროტი რუსეთი არსებობს. რუსეთ ერთი „დერჟავაა“, „დერჟავა“, რომელიც იმაზეა გამეცადინებული, რომ საკუთარი გავლენები, რაც შეიძლება, მეტად გააფართოვოს და დიდხანს შეინარჩუნოს!

შესაბამისად, ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური „აჯაფსანდალი“ წყალს, პირდაპირ თუ ირიბად, სწორედ ჩრდილოეთის წისქვილზე ასხამს.

აი, მაგალითად, ავიღოთ, 2020 წლის 31 ოქტომბრის შემდეგ განვითარებული მოვლენები – სამ თვეზე მეტია, ვაკჰანალიაში ვცხოვრობთ: ოპოზიცია პარლამენტში არ შედის და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ხელისუფლება ამტკიცებს, ვადამდელი არ იქნება, რადგან 31 ოქტომბერს, ხალხმა საკუთარი აზრი ობიექტურად გამოხატაო. აი, ამ „ბათქის“ გამო, ხალხი გაუგებრობაშია, თუმცა ამ გაუგებრობას როგორმე ავიტანდით, რომ არა მთავარი – კორონაპანდემიით დაზარალებული ეკონომიკა, კიდევ უფრო ზიანდება ანუ რომელიმე უცხოელმა, ქვეყანაში ფულის დაბანდების სურვილი რომ გამოთქვას, აქ რეალური ჩამოსვლისგან თავს იმიტომ შეიკავებს, რომ არ იცის, ხვალ როგორი პოლიტიკური რეალობა იქნება.

ამას გარდა, ოპოზიცია იმდენს იძახის, ხელისუფლებაში პრორუსული ძალაა, რომ იგივე ევროპელი თუ ამერიკელი ინვესტორი დაფიქრდება, ნეტავ, საქართველოში ბიზნესის დაწყება-განვითარება ღირს თუ არაო. ასეთი რიტირიკული კითხვა კი, მინიმუმ, იმიტომ გაჩნდება, რომ რუსეთი, ლამის მთელ მსოფლიოში, კორუფციის ბუდედ ითვლება.

ეს არგუმენტები კი პირდაპირ იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ევროკავშირსა თუ ნატო-ში გაწევრიანება, ისევ „შორს, ბუზისტოლად მოსჩანს“.

სხვათა შორის, ანალოგიური შინაარსის განცხადება, ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილმა მთავარსარდლმა, თადარიგის გენერალმა, ბენ ჰოჯესმა „ამერიკის ხმის“ ქართლ რედაქციასთან საუბრისას გაკეთა:

„ის, რაც ამ ბოლო დღეებში მოხდა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საქმეს არ ეხმარება. ისედაც ბევრი ქვეყანაა ისეთი, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგება. ამ ყველაფრით, საქმე ურთულდება შეერთებულ შტატებს და სხვა ქვეყნებს, რომლებიც ჩვენს ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას უჭერენ მხარს“.

ახლა, ვერ ვიტყვით, რომ ნატოს ან ევროკავშირს „დაარტყა“, მაგრამ ინვესტორებს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო განცხადებაც დააფრთხობს.

რას ვგულისხმობთ? – რას და, ნამახვანჰესზე სააკაშვილის განცხადებას.

„ჩემი სრული სოლიდარობა ნამახვანის მშენებლობის წინააღმდეგ ყველა ადამიანს, აქციის ყველა ორგანიზატორს. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ეკონომიკა სულ სხვანაირადაა აშენებული, რეალურად, დღეს საქართველოსთვის ბუნების გადარჩენა, ადამიანის საცხოვრებელი კლიმატის გაუმჯობესება, ტურიზმის განვითარება ბევრად პრიორიტეტულია, ვიდრე თურქეთის ან ნებისმიერი მეზობელი ქვეყნისთვის იაფი ენერგიის მიმწოდებლად გადაქცევა.

რატომ? მაგალითად, თავის დროზე, მარტივილის კანიონის ტერიტორიაზე იყო ჰიდროელექტროსადგური. როდესაც ჩავედი, ვნახე ამხელა ტურისტული პოტენციალი, დავაცლევინე ჰიდროელექტროსადგური, გავაუქმებინე, მოვაშორებინე და კოვიდამდე იქ ჩადიოდა 350 000 ტურისტი წელიწადში.

ბევრად მეტი შემოსავალი აქვს ხალხს, ბევრად მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ჰესი დაასაქმებდა.

აქ, უკრაინაში, ზუსტად ნამახვანის ხელა ჰესს აშენებდნენ დნესტრის ხეობაში, ეს არის ძალიან ლამაზი კანიონი, უზარმაზარი ტურისტული პოტენციალით. ოდესის გუბერნატორი როცა ვიყავი, ჩემი პარტიიდან გავაკეთე ადგილობრივი აქტივისტების ორგანიზება, ჩავედით და გავაჩერებინეთ ამ უზარმაზარი ჰესის მშენებლობა. დღეს, ყველა იქ მცხოვრები მადლობელია, რადგან ვითარდება ტურიზმი, აშენდა სასტუმროები, ხალხს გაუჩნდა შემოსავალი და აღარ არიან წასასვლელი მეზობელ ქვეყნებში სამუშაოდ.

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

მართვადი ქაოსი

ზუსტად ასეთივე ულამაზესია ჩვენი ბუნება, არ შეიძლება მისი ხელის ხლება. ეს არის იმხელა საგანძური, რომ უბრალოდ, უნდა გესმოდეთ, არსებობს ენერგიის წარმოების ბევრი სხვა საშუალება, ქარის ტურბინები, მზის ენერგია, უამრავი სხვა რაღაცა.

ხელები შორს, ქართული ბუნებისგან! საქართველოს სჭირდება კონკრეტული, გრძელვადიანი, სწორი განვითარება, რათა ხალხისგან არ დაცალოს“, – განაცხადა სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ, ვიდეოში, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა.

საქართველოს ბუნებისგან ხელები, რა თქმა უნდა, შორს, მაგრამ აქ არსებობს ერთი „მაგრამ“. კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის დროს, ჩვენს ქვეყანაში არაერთი ჰესი აშენდა, თუმცა მაშინ სააკაშვილს არ უთქვამს, ხელები შორს, ქართული ბუნებისგანო.

ესე იგი, რა გამოდის? რა და, სახეზეა ორმაგი სტანდარტი ანუ სააკაშვილის ლოგიკით, ის, რაც ეპატიებოდა ნაციონალურ მოძრობას, არ ეპატიება „ოცნებას“, თუმცა აქ საქმე, შესაძლოა, უფრო შორსაც წავიდეს.

სახელდობრ: დღეს, კორონათი და სხვა ათასი უბედურებით ნერვებდაწყვეტილ ხალხს, ყველაზე მეტად, ნაციონალური იდეები აღელვებს. აი, მაგალითად, გავიხსენოთ დავით გარეჯის საქმე – ოპოზიცია კი ამბობდა და ამბობს, მელაშვილი-ილიჩევა სინდისის პატიმრები იყვნენ და ეს სისხლის სამართლის საქმე შეკერილიაო, მაგრამ თვით ოპოზიციის მიმდევრებშიც არიან ისეთები, რომლებსაც ეჭვი აქვთ, რომ დავით გარეჯი, შესაძლოა, მართლაც გაიყიდა.

აქედან გამომდინარე, დავით გარეჯის თემით, ხელისუფლებამ ოპოზიციას სერიოზული ზიანი მიაყენა. ყოველ შემთხვევაში, ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ ისინი, რომლებიც დავით გარეჯის გაყიდვას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებენ, თითქოს ეროვნულობას ებრძვიან.

ხელისუფლების ამ სტრატეგიას სააკაშვილმა, რომელსაც მუდმივად იმას ედავებოდნენ და ედავბიან, აი, ქართველობა ფეხზე ჰკიდიაო, მმართველ გუნდს, როგორც იტყვიან, პენალტი დაურტყა – გამოვიდა და პირდაპირ თქვა, ხელები შორს, ქართული ბუნებისგანო ანუ ექსპრეზიდენტმაც, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის ნაციონალურ გრძნობებზე ითამაშა.

საერთოდ, ნაციონალურ გრძნობებზე თამაში, მართვადი ქაოსის ერთგვარი ხერხემალია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, იგივე 90-იანი წლები იძლევა – ალბათ, გახსოვთ, მაშინ როგორი მოდური იყო ლოზუნგი: „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!“ ამ ლოზუნგში, თავისთავად, ცუდი და მიუღებელი არაფერია, მაგრამ ცუდი ისაა, რაც ამ ლოზუნგს ექოსავით მოჰყვება. მხედველობაში მაქვს გაუთავებელი „ჯოს, ჯოს, ჯოს...“

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, სამშობლოსა და სახელმწიფოს სიყვარული მხოლოდ „ჯოს“ ძახილი არაა. ამასთან, მხოლოდ სამშობლო კი არა, სახელმწიფოც უნდა გვიყვარდეს, რადგან თუ არ იქნება სახელმწიფო ანუ თუ სახელმწიფო ინსტიტუტები არ იარსებებენ, სამშობლო ადამიანს ვერც გამოკვებავს და ვერც მის უფლებებს დაიცავს.

ეს ნათქვამი, შესაძლოა, ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ არც ისაა მოსაწონი, ბოლო დროს, ვიღაცებმა დისკუსია რომ დაიწყეს, მთავარი სამშობლოა და არა – სახელმწიფოო. საკითხის ამ პრიზმაშიც განხილვა, შესაძლოა, სწორედ მართვადი ქაოსის სცენარით იყოს გაწერილი!

მართვადი ქაოსის ქეისში, შესაძლოა, ის ამბებიც განვიხილოთ, რაც ბოლო წლებია, საქართველოს ეკლესიაში, უფრო სწორად, საპატრიარქოში ხდება. „ციანიდის საქმისა“ და სინოდის სკანდალური სხდომის დეტალებზე აღარ შევჩერდები და მხოლოდ ვიკითხავ: ვის წისქვილზე დაასხა ყველაფერმა ამან წყალი?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია: წყალი იმის წისქვილზე დაესხა, ვინც საქართველოს მტერია. ჩვენს ქვეყანას, შესაძლოა, ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ამ ბევრიდან ყველაზე გამოკვეთილი და აგრესიული რუსეთია. ისე, იმაზე, რომ ჩვენს ეკლესიაში რუსული გავლენები ზომაზე მეტია, ბევრს და ბევრი ლაპარაკობს.

რაც შეეხება წისქვილზე წყლის დასხმას, იმაზე მეტი წყლის დასხმა რაღა უნდა იყოს, რომ ზემოხსენებული ამბების შემდეგ, ეკლესიის რეიტინგი ქვევით წავიდა. არადა, თუ ისტორიას გადავხედავთ, ძნელბედობის ჟამს, ერი სამშვიდობოს, სწორედ ეკლესიას გაჰყავდა ხოლმე.

ალბათ, ახლაც არ იქნება ურიგო, თუ ამ სულიერ მისიას ეკლესია ისევ თავის თავზე აიღებს, მაგრამ... წეღანდელი თქმისა არ იყოს, ქვეყანში ისევ ფერებია მუქი. მუქი ფერებით კი სამშვიდობოზე გასვლა, არცთუ ადვილია!

ასე რომ, მართვადი ქაოსის მანქანა მთელი ძალით მუშაობს და თუ რამეს არ ვიღონებთ, შესაძლოა, უფსკრულის პირასაც კი აღმოვჩნდეთ! ეს უფსკრული კი, ალბათ, ის იქნება, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რუსეთის გუბერნია კიდევ ერთხელ გახდეს! აი, სწორედ ამიტომაც აძლევს ხელს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს საქართველოში მართვადი ქაოსი!

თაკო ჩარკვიანი: „ორმაგ სტანდარტს ვერ გამომაპარებენ!“

„ბოკერია-ბურჯანაძის სულელური თამაშისთვის არ მცალია!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ოპოზიცია, ბოიკოტის პარალელურად, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით, პერმანენტულ საპროტესტო აქციებს იწყებს. პარალელურად, ოპოზიციურ სპექტრში მოვლენები საინტერესოდ ვითარდება – პარტია კანონი და სამართლის ლიდერი, თაკო ჩარკვიანი, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს ღიად უპირისპირდება და აცხადებს, რომ რუსული ვექტორის მქონე პოლიტიკოსის აქციის ორგანიზატორობა და ლიდერობა დაუშვებელია. ამასთან, თაკო ჩარკვიანი მკვეთრად მოითხოვს ბურჯანაძის გაწევას საპროტესტო პროცესიდან და მიიჩნევს, რომ ბოკერია-ბურჯანაძე სათავისოდ „თამაშობენ“ და მათი გეგმები ვადამდელ არჩევნებს სცდება. „ვერსია“ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა.

– ქალბატონო თაკო, ოპოზიციურ ერთობაში თუ დააყენეთ ბურჯანაძის საკითხი და ვინ არ გეთანხმებათ?

– ყველამ იცის ჩემი პოზიცია, რომ ეს შეცდომაა, მაგრამ ერთხელ შევთანხმდით, რომ მხოლოდ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის გამო ვსხდებოდით და ამის მოთხოვნის უფლება, მართლაც, ყველას აქვს, მაგრამ რუსული ვექტორი გეუბნება, იქ ჩემი 10 ცალი ხმაა და მაქვს უფლება, მოვითხოვო, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნებიო. ზუსტად ვიცი, რომ ამის გაკეთება შეცდომაა, რადგან ოკუპანტს, უნებლიედ, მისდის სიგნალი – შემძვრალი ვარ ხელისუფლებაში და ოპოზიციაშიც შევძვერიო. ეს მესიჯი არ უნდა მიუვიდეს ოკუპანტს, ეს პოლიტიკური შეცდომაა, ხალხო! მოჰყავთ ხოლმე პლახატნიუკის მაგალითი, ჰოდა, იმიტომ დამთავრდა კრახით! კომუნისტებთან ერთად გაერთიანდა ყველა მოლდოვაში და რუსეთმა გასწია თავისკენ, თავისი კომუნისტები. როცა ჰყავს დაბმული ბორკილით, გამორიცხულია, იმ ვიღაცამ აიშვას. არავისთან პიროვნული პრობლემა არ მაქვს, ვექტორალური პრობლემა კი, ცხადია, მაქვს! მთელი ცხოვრება ვუყურებ, რომ ერთი მტერი გვყავს – ოკუპანტი. ათას ადამიანს ჰქონია განსხვავებული პოზიცია, მაგრამ ამ წამს, მოქმედი რუსული ვექტორის მომხრე პარტია რომ აქციის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად მოგვევლინოს, ეს ნორმალურია?!

– ჰოდა, ამაზე სხვა ოპოზიციურ პარტიებს რა პოზიცია აქვთ?

– როცა ეთერში ამაზე ვსაუბრობდით, ალბათ, ნახეთ არმაზ ახვლედიანის პოზიცია. ადამიანებს აწუხებთ ეს საკითხი. მარტივი ჭეშმარიტებაა – საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი და საქართველო დაადგა დასავლურ გზას. ხალხმა დასაჯა რუსული ვექტორის მომხრე და წლებია, მანდატი არ აუღია. ჩვენ, ოპოზიციას, რა უფლება გვაქვს, რომ ხალხის მიერ, პოლიტიკურ გვამადქცეულ ვექტორს ვაცოცხლებთ?! ეს არ არის უპატივცემულობა?! ორი წელია, რაც პარტია კანონი და სამართალი დავაფუძნე და ბრძოლაში ბოლომდე მივდივარ, მაგრამ თამაშში – არა. ჭუჭყიანი პოლიტიკოსების მოგონილია, რომ პოლიტიკაა და სჭირდება, მაგრამ არა! სუფთა ხელებით კეთდება შესანიშნავი პოლიტიკა და ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიქნები. ვინმეს არ ეგონოს, რომ ამ ერთობას ჩამოვცილდები. მე ვარ ბოიკოტის შესახებ განცხადების ავტორი დილის 4 საათზე და ეს არ შეიცვლება! ერთადერთი გზა, რომელიც ჩიხიდან გამოიყვანს ქვეყანას, არის ახალი, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა! ხალხი გვიყურებს და ღირებულებების აღრევასა და აზელვაზე უარესი არაფერია. ჩრდილში არ შეუძლია, ქვეყნისთვის იზრუნოს, თუ ასე უნდა? – არა, ქვეყნის საქმე კი არა, მანდატი რომ ვერ აიღო, ეს არის ის გზა, რომლითაც რეანიმაცია უნდა მოახდინოს ამ ვექტორმა საკუთარი თავის. მე რუსული ვექტორის რეანიმაციას ხელს არ შევუწყობ, გამორიცხულია! იმიტომ „დავპროწიალობთ“ ამ გზაზე 30 წელია და ცოდოა ხალხი. ნახეთ, ქუთაისში როგორი მიტინგი ჩატარდა...

– დიახ, ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა...

– ნამდვილად... იგრძნო მუხტი? – მოდის ხალხი. აქ, ბოკერია-ბურჯანაძის პოლიტიკური გვამების გასაცოცხლებლად კი არ მოდის ხალხი! მებრძოლი ადამიანები დგანან და კითხვებს გვისვამენ... გულწრფელად გეუბნებით, ოპოზიციაში ვიყავი 9 წელი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობა მიმდინარეობდა, მაგრამ სამართლებრივი სისტემა იყო დანაშაულებრივი და კატასტროფა იყო. ახლა ამათ სახელმწიფო ინსტიტუტები საერთოდ დაანგრიეს და დანაშაულებრივი სისტემა „ააყვავეს“. 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევა კატასტროფა იყო და 9 ნოემბერს, ნინო ბურჯანაძემ თქვა: „სახელმწიფო შედგა, სახელმწიფომ თავი დაიცვა“-ო. 26 მაისს არ მოეწონა, რომ დაარბიეს. დარბევა არის თვალების დათხრა 20 ივნისს და ამის შემდეგ, კოსაჩოვთან ბოდიშის მომხდელი, არ უნდა იდგეს ორგანიზატორ ლიდერად, არ შეიძლება, სირცხვილია!

– ქალბატონო თაკო, თუ ამ ლოგიკას მივყვებით, ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში, როცა 7 ნოემბერსა და 26 მაისს მიტინგი დაარბიეს და მაშინ, ამ პარტიასთანაც უნდა გქონდეთ პრეტენზია.

– კი ბატონო, რა თქმა უნდა. აბა, რატომ მაქვს ბოკერიასთან პრეტენზია?

– კი, მაგრამ ბოკერია ხომ არ წარმოადგენს ახლა, ნაციონალურ მოძრაობას?

– როგორ არა, უბრალოდ, მოპარა ხმები და შევიდა სხვების ხმებით. აბა, რატომ გავაკეთეთ მემორანდუმი კანონი და სამართალმა და ყველა პარტიას ხელი მოვაწერინეთ სამართლებრივ რეფორმაზე? – იმიტომ, რომ ეს იყო შიშის პრევენცია. მომსვლელი რომ მოვა, იმის გარანტია, რომ დაინგრევა ეს სამართლებრივი სისტემა, ხომ უნდა გვქონდეს? ვერავინ უარყოფს ისტორიას, საააკაშვილმა ჩამონთხლეული, გაღატაკებული სახელმწიფო ინსტიტუციურად შექმნა, პლუსს, ხომ ვერ დაუკარგავ, რომ დასავლეთთან ურთიერთობა ჰქონდა? ნაკლი რაც ჰქონდა, იმაზე 24 საათი ვსაუბრობ. ახლა კი ვებრძვით მონსტრს, მონსტრია ნებისმიერი ოლიგარქია და, პლუს, გინდა, რომ გავრილოვებს, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში გვყავს და პირდაპირი მნიშვნელობით გავრილოვის შემომყვანებს, ებრძოლო კოსაჩოვთან ბოდიშის მომხდელით?!

– ქალბატონო თაკო, რომ განაცხადეთ, ხმა მომივიდა და ამ თამაშში არ შევყვებიო, ვის გულისმხობდით და საერთოდ, რაზე საუბრობთ?

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის გამო, გავერთიანდით ეს ჭრელი პარტიები და ჩემთან უკვე მოვიდა ხმა, რომ ამ საკითხს გასცდა ვიღაცების გეგმები.

– ბოკერია-ბურჯანაძე, სწორედ ამ კონტექსტში ახსენეთ?

– რა თქმა უნდა, არც ერთს აქვს პარტია. ერთი გიგლა ბარამიძე ჰყავდა ბურჯანაძეს და ისიც გაექცა. ისიც ნახეთ, მისი პარტიის წარმომადგენელი, გიორგი ახვლედიანი, ხელფასს საიდან იღებდა, ვისი სპიკერი იყო და ხვდებით, სად ვართ?

– თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ახვლედიანის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს ხელისუფლებაზე მუშაობდა, სამართლებრივად არ დადასტურებულა.

– გიორგი ახვლედიანი ახლა „პოსტივი“-ზე მუშაობს და რა არ დადასტურებულა? ორმაგ სტანდარტს ვერ გამომაპარებენ, გამორიცხულია. ბოკერია-ბურჯანაძის სულელური თამაშისთვის არ მცალია, ამოჩემებული მაქვს, რომ ქვეყანას ვნახავ დასავლური ვექტორით, კარგი პენსიით და კარგი დასავლური მომავლით. რომ მოკვდნენ და გასკდნენ, ვერ მოხდება მათი პოლიტიკური გვამების რეანიმაცია!!!

ახალგაზრდები უნდა მივუშვათ, კი ბატონო, გააკონტროლონ ძველმა, გამოცდილმა პოლიტიკოსებმა, დაეხმარონ, მაგრამ ცოტა განაახლონ სახეები. ვინ თქვა, რომ საქართველოში, მოაზროვნენი არ არიან?! ასე, მიკროფონს თუ ჩაებღაუჭა ორი პოლიტიკური გვამი... მაინცდამაინც, მიკროფონთან უნდა იდგე, რომ მიკროფონს იყო ჩაბღაუჭებული? – არა, კულისებშიც შეიძლება ამის გაკეთება. ამათ გადაწყვიტეს, რომ ამ გაერთიანების ხარჯზე გაძვრნენ და მოახდინონ საკუთარი თავების რეანიმაცია.

აბა, ადამიანი, რომელიც რუსეთის ჯარის შემოყვანის მოსურნეა და ევროატლანტიკურ სივრცეზე რა განცხადებებიც აქვს გაკეთებული, გვახსოვს, ბურჯანაძეს... ბოკერიას არ ვგულისხმობ პრორუსულ ვექტორში, რა თქმა უნდა...

ამბობენ, ახლა არ არის ამის დროო, მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ ახლაა ამის დრო იმიტომ, რომ „ახლა“, შენ თვითონ მოგყავს და მერე გვიან იქნება, ის „ახლა“ რომ დაგიჯდება და უკან კიდე კუდები და თანხები რომ აქვს. საიდანაა, ყველაფერი ეს? რუსულ ვექტორს, საიდან, რა უნდა ჰქონდეს? ამიტომ ახლა ძალიან ფრთხილად უნდა გავიაროთ, რა თქმა უნდა, ერთობას შევინარჩუნებთ. აბა, რუსული ვექტორის მქონე ბურჯანაძის გამო, მე გავიქცევი? – როგორ გეკადრებათ!

იქ გულწრფელად მებრძოლი ადამიანები დგანან ჩემი ჩათვლით, თავი გვაქვს გადადებული და ვიღაცის ვარცხნილობის გასაახლებლად არ გვცალია, დიდი ბოდიშის მოხდით.

– ისე, რა მოლოდინი გაქვთ, თქვენი მოწოდებით, ბურჯანაძე უკან დაიხევს?

– ინფორმაციაც მაქვს და მოლოდინიც, რომ მოუწევთ. პოლიტიკაში ასე არაა, ძალიან დიდი უკმაყოფილება და გაჭირვებაა. კოვიდზეც ხომ ხედავთ, რა მოხდა. ბიუჯეტი ისე გაძარცვეს, რომ ვაქცინაც ვერ შემოაქვთ. ეს კორუფციის შედეგია და კორუფცია ღალატის დონეზე მაქვს აყვანილი იმიტომ, რომ კორუფციაა ის, რაც ანგრევს ეკონომიკას და ეკონომიკა ანგრევს ადამიანების მომავალს. გაუბედურებული ქვეყანა ყოველთვის ხდება ლუკმა ისეთი მონსტრის, როგორიც რესეთია. ამიტომ ვამბობ, კორუფცია რომ წამოვა ქვეყანაში და გამძვინვარდება, კითხვაც არ გაგიჩნდეს, შეიცვალა თუ არა კურსი ქვეყანამ. რა თქმა უნდა, ესე იგი, შეიცვალა იმიტომ, რომ კორუფციული ქონების გადამალვა, მხოლოდ ერთ სივრცეში შეიძლება – კორუფციული რუსეთის სივრცეში და შენ ხალხს აგიჟებ?!

1 ლარად წაღებული აგარაკი რომ გაქვს, გინდა დაუმტკიცო, რომ კორუფციას ებრძვი? და უმტკიცებ, რომ როდესაც კიდევ მოხვალ, აღარ წაიღებ? ეროვნულ მოძრაობას რომ ამბობ, არ გრცხვენია?! ამოგვწყვიტა რუსეთმა და რუსეთის მოსურნე ქალთან ერთად, ეროვნულ მოძრაობას როგორ მოვითხოვ?! ჩემს გარშემო ადამიანი არ მიპოვია, რომ ეთქვას, არასწორი ხარო. ამიტომ მგონია, რომ ასეთი ღირებულებებით, ერთობითა და დასავლური ვექტორის მონოლითურობით, მივალთ გამარჯვებამდე.

გია ხუხაშვილი: „გახარია პოლიტიკაში სერიოზული ელემენტი იქნება!“

„ფუნთუშებზე გაზრდილი ბავშვების დიქტატორობა, მკაცრი ხელი და რკინის მუშტი არ გაიშვა!“



თათია გოჩაძე
598-43-50-34

ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმშია და პერმანენტულ აქციებს მართავს – რუსთაველზე საპროტესტო კარვებია გაშლილი... ამ ფონზე, რამდენად ცხელ პოლიტიკურ გაზაფხულს უნდა ველოდოთ?
– გაეცანით ანალიტიკოს გია ხუხაშვილის პოლიტიკური პროგნოზებს:

– სამწუხაროდ, საკმაოდ ცხელი გაზაფხული გველის, ნეგატიური გაგებით, რადგან ყველა მიმართულებით ვარდნა გვაქვს. საქმე არ ეხება მხოლოდ პოლიტიკურ დაპირისპირებას და იწილო-ბიწილოს, გვაქვს მძიმე პრობლემები სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებით.

ხელისუფლებას პოზიტიური დღის წესრიგი არ აქვს. პანდემიასთან დაკავშირებითაც ბუნდოვანი მოლოდინია, 103 ქვეყანაში მიდის ვაქცინაცია და ჩვენთან თითის გაშვერის დონეს ვერ გასცდა ჯანდაცვის სამინისტრო და ბრიფინგებს ატარებს, რატომ ვერ შემოიტანა ვაქცინა. ეს მიზეზი არავის აინტერესებს. ფაქტია, რომ ეს მიმართულებაც ძალიან პრობლემატურია.

მოკლედ, მოლოდინი ვერ მექნება პოზიტიური იმიტომ, რომ არ იძლევა ამის საფუძველს არც ხელისუფლება და არც – ოპოზიცია.

– ოპოზიცია მოლოდინს ქმნის, რომ აქტიური იქნება მისი პროტესტი. როგორ ფიქრობთ, შედეგს მიაღწევს?

– შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქციებით შედეგს ველოდო. ხელისუფლებამ ფატალური შეცდომა დაუშვა მელიას დაჭერით, „სატოპკე“ აუწია ოპოზიციას, რომელსაც დღის წესრიგი არ გააჩნდა. დასავლეთის დამოკიდებულებაშიც სერიოზული კორექტივები შევიდა, თან ოპოზიცია გააცოცხლეს.

ყველაფერ ამას კი შესწირეს პრემიერი, რომელიც ადეკვატური იყო და მოიყვანეს ადამიანი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, აბსოლუტურად შეუფერებელია სახელმწიფო სამსახურთან.

კრიზისი იმიტომ კი არ გამწვავდება, რომ აქციებით მოვა ყველაფერი ეს, არამედ, ბევრ პრობლემას კუმულატიური ეფექტი იქნება, რაზეც პოლიტიკური პროცესიც „დაჯდება“ და ამას მოჰყვება სამწუხარო შედეგი, რადგან ხელისუფლებასთან ერთად, სახელმწიფო მიიღებს ზიანს. გახარია იყო ბოლო იმედი და შანსი, მაგრამ ხალიჩისქვეშა ინტრიგებით მოაშორეს და ვითომ „მაგარ ბიჭობანას“ თამაშობენ კობახიძე, მდინარაძე და სხვები, რაც ძალიან სასაცილოა. ფუნთუშებზე გაზრდილი ბავშვების დიქტატორობა, მკაცრი ხელი და რკინის მუშტი არ გაიშვა!

– ისე, ვრცელდება ვერსია, რომ შესაძლოა, გახარიამ პარტია შექმნას და პოლიტიკაში დაბრუნდეს...

– ეს ნაკლებად სავარაუდო მგონია, პოლიტიკაში შემობრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იძულებული გახადეს.

– რას გულისხმობთ?

– პოლიტიკიდან გასვლა მარტივი არაა, რაც საკუთარ ტყავზე მაქვს გამოცდილი. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდოდით, მაშინვე დავტოვებდი ხელისუფლებას, რადგან ეს არაა ჩემი საქმე, მაგრამ ვერ მოვახერხე, გამიჭირდა და როცა გადავწყვიტე, ძალიან მტკივნეულად განვითარდა მოვლენები.

გახარიასთვის ეს უფრო რთულია, რადგან მასზე ბევრი შეტევა განხორციელდება, როგორც ხელისუფლების, ასევე, ოპოზიციის მხრიდან. ნამახვან ჰესზეც, პანდემიაზეც მასზე უნდათ ხელის შეხოცვა და სახელისუფლებო ტროლები ამაზე მუშაობენ. შესაბამისად, დასჭირდება თავდაცვა, საუკეთესო თავდაცვა კი თავდასხმაა.

– თუ დაბრუნდა, როგორ პოლიტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებთ?

– ვფიქრობ, სერიოზული ელემენტი იქნება. „ქართული ოცნება“, დღეს თუ ხელისუფლებაში დარჩა, დიდწილად გახარიას დამსახურებაა. არჩევნების წინ რომ წარმოგვედგინა, გახარია გადადგებოდა, თითქმის გარანტირებულად გეტყვით, რომ „ქართული ოცნება“, რაც უნდა ემამაძაღლა, არჩევნებს ვერ მოიგებდა. გახარიამ ამდენი უსაქმური აიკიდა მხრებზე, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური წონა. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია წამყვანი, მაგრამ თუ პოლიტიკურ კაპიტალზე ვსაუბრობთ, ეს ჰქონდა მხოლოდ გახარიას.

– გახარიას რეიტინგი სოციალურ ქსელშიც გამოჩნდა, როცა მის ფოტოზე „ლაიქების“ რეკორდული რაოდენობა დაგროვდა...

– დიახ, კვლევებშიც ჩანდა ეს რეიტინგი, არჩევნებამდე. რა თქმა უნდა, შეიძლება, გახარია გახდეს სერიოზული ფაქტორი. მას ნამდვილად შეუძლია ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის გაჩენა, მესამე ცენტრს რომ ვეძახით.

– ისე, ქუთაისში, პოლიტიკოსების მოწოდების გარეშე, აქციაზე ბევრი ხალხი შეიკრიბა და ზოგმა პოლიტიკოსმა ისიც თქვა, თბილისში ვერ გამოვიყვანეთ ამდენი ხალხი, რადგან მობეზრდათ ერთი და იგივე სახეებიო. არსებული პოლიტიკური „ლიდერშიპით“, ოპოზიციას რა შანსი აქვს?

– ხელისუფლებას უკვე შანსი არ აქვს, გახარიას წასვლის შემდეგ, ხელისუფლებაში არ დარჩა ფიგურა, ვისზეც უღირს ვინმეს ხმის მიცემა. სხვა საკითხია, რომ ოპოზიციას თავის უბედურება სჭირს ანუ მთელი პოლიტიკური კლასი გვყავს ღრმა კრიზისში, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ გადანაწილება მოხდება.

მივდივართ მულტიპარტიული სისტემისკენ, რაც ცუდი არაა. ისტორიის ამ ეტაპზე, სჯობს, გავიაროთ ყველაფერი ეს, რადგან მხოლოდ მულტიპარტიული მმართველობის პირობებში ვისწავლით დიალოგს ერთმანეთთან.

გასაგებია, ოპოზიცია როგორც იქცევა და არ მოგვწონს, მაგრამ ერთი აქტივი გაჩნდა – ერთმანეთთან ლაპარაკი ისწავლეს და ძირითადი ხაზი მაინც სტაბილურად დაიჭირეს, რაც უკვე შედეგია.

სამწუხაროა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ ახერხებენ დიალოგს, მაგრამ პოლიტიკური კულტურის ეს მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა გავაჩინოთ და ეს შეიძლება მხოლოდ კოალიციური მმართველობის პირობებში, რაც დაგვაზღვევს უახლესი ისტორიის მთავარი უბედურებისგან, ძალაუფლების უზურპაციისგან.

– დასავლეთი ერთხმად მოუწოდებს ორივე მხარეს დიალოგისკენ. თქვენი პროგნოზით, შედგება ეს დიალოგი და ყველაფერი მივა კონსენსუსამდე ანუ ვადამდელ არჩევნებამდე?

– ხელისუფლების დათანხმება ამაზე ძალიან გაჭირდება, მაგრამ თუ გააცნობიერებს, რომ ვადამდელი არჩევნები მაინც გარდაუვალია, კარგი იქნება იმიტომ, რომ რაც უფრო მაგრად „გააფიჩინებს“ ფეხებს, უფრო ნაკლები შანსი ექნება შემდეგ არჩევნებზე შედეგის მიღების. ამიტომ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობს.

ისტორიას ახასიათებს გარკვეული კანონზომიერება და ეს პოლიტიკური ლოგიკა საუბრობს იმაზე, რომ რიგგარეშე არჩევნები, ამა თუ იმ ეტაპზე, მაინც შედგება. უბრალოდ, არის შედარებით რბილი და მკაცრი, დამაზიანებელი სცენარი. ხელისუფლება რაც უფრო ადრე მიხვდება ამას და სათავეში ჩაუდგება ამ პროცესს, ინიციატივა ხელიდან არ გაუშვას, უკეთესი იქნება.

– როგორ ფიქრობთ, რა არის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებს არ თანხმდება?

– სამწუხაროდ, ხელისუფლებაში გვყავს პოლიტიკური კლასი, რომელიც შემთხვევითაა პოლიტიკაში მოხვედრილი. ესაა მედროვეების დაჯგუფება, რომლებიც საკუთარი პატარა ჭიის გასახარებლად, რაღაცას ებღაუჭებიან. ეს ხომ არაა პოლიტიკური კლასი, რომელიც გამოიბრძმედა ოპოზიციაში ყოფნით?

ჩვენ ვებრძოდით 2012 წლამდე იმ რეჟიმს და ესენი მზა-მზარეულზე მოვიდნენ, ბიძინა ივანიშვილმა საიდანღაც „ამოიღო“ ეს ხალხი, რომლებიც ბუჩქებში ისხდნენ და რეჟიმთან ერთი დღეც არ უბრძოლიათ, ახლა რომ სისხლიან 9 წელზე საუბრობენ! შესაბამისად, მათთვის ეს პირობითი კეთილდღეობა ძალიან მნიშვნელოვანია და ამას ეპოტინებიან. ესმით, რომ სკამის გარეშე, პოლიტიკური არარაოებები არიან და არაფერს წარმოადგენენ, ამიტომ მათთვის სკამზე ჯდომის ყოველი დღე, სულზე უტკბესია. ოპოზიციაში ვერ წარმოუდგენიათ ყოფნა.

მოკლედ, ლოგიკური ოპტიმიზმი არ მაქვს, მაგრამ ამ ქვეყანას ისეთი რაღაცები გადაუტანია, ამასაც გადავიტანთ, სახდელს მოვიხდით.

რა სკანდალში გაეხვა ფრიდონ ინჯია და რა პრეტენზიები აქვს კახა ბექაურის უწყებას დეპუტატთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია პარლამენტარ ფრიდონ ინჯიას კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. კახა ბექაურის უწყება ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს და აცხადებს, რომ ინჯია საპარლამენტო ტრიბუნას საკუთარი ბიზნესინტერესების სასარგებლოდ იყენებს. თავის მხრივ, ევროპელი სოციალისტების ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფრიდონ ინჯია „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მარეგულირებელი კომისიის ბრალდებები აბსურდულია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. „ვერსია“ შეეცადა, გაერკვია, რატომ დაუპირისპირდა მარეგულირებელი კომისია პარლამენტის დეპუტატს და რა პრეტენზიები აქვს ფრიდონ ინჯიას კახა ბექაურის უწყების მიმართ?

ფრიდონ ინჯია: „კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ხელისუფლება შეცდომაში შეჰყავს!“

დეპუტატისა და მარეგულირებელი კომისიის დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ფრიდონ ინჯიამ მარეგულირებელი კომისიის მუშაობის თემატური მოკვლევა მოითხოვა. ეს საკითხი ფრიდონ ინჯიამ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე დასვა.

„არსებობს სერიოზული, არგუმენტირებული შეკითხვები მარეგულირებელი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. დარღვევები იმდენად დიდია, რომ არ გამოვრიცხავ, საჭირო გახდეს სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნა. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სანამ მარეგულირებელი კომისია მუშაობის შესახებ პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს, მისი საქმიანობის თემატური მოკვლევა უნდა ჩატარდეს“, – განაცხადა ფრიდონ ინჯიამ.

ევროპელი სოციალისტების ლიდერი თვლის, რომ აუცილებელია საპარლამენტო კომიტეტების სტატუსის უფრო მაღალ დონეზე აყვანა, მით უფრო, ამას ისედაც ითვალისწინებს, როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

„ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა გახლავთ საპარლამენტო რესპუბლიკა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან, კანონების შესრულებასთან მიმართებაში უნდა იყოს გაძლიერებული საპარლამენტო კონტროლი. ვისურვებდი, რომ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში და საერთოდ, პარლამენტის საქმიანობაში ეს ხაზი უფრო მეტად იყოს გამოკვეთილი“, – მიაჩნია ინჯიას.

დეპუტატი ამბობს, რომ **„კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას საზოგადოება და ხელისუფლება შეცდომაში შეჰყავს და ამ გზით აგრძელებს იმ კანონდარღვევებს, რის გამოც, სახელმწიფო ბიუჯეტს 6 მილიონ ლარამდე ზარალი მიადგა!“** ფრიდონ ინჯია განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, მარეგულირებელ კომისიას არ მიეცა უფლება, საკუთარ ბიუჯეტში მიმართოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური. ინჯიას თქმით, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტს ეკუთვნის და შესაბამისად, საკომუნიკაციო კომპანიებმა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადაიხადონ.

„2018 წლიდან, ავტორიზებული პირები, მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტში, ყოველწლიურად რიცხავენ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს და წარმოადგენს მარეგულირებელი კომისიის მხრიდან უფლებამოსილების უხეშ დარღვევას“, – აღნიშნავს ინჯია.

ფრიდონ ინჯიას სწორედ ამ განცხადებებს მოჰყვა მარეგულირებელი კომისიის საპასუხო წერილი, რომელიც უწყების ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა. მარეგულირებელ კომისიაში აცხადებენ, რომ პირიქით, საზოგადოება შეცდომაში, სწორედ ინჯიას შეჰყავს, რითაც არღვევს საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსს:

„ამასთან, მას აქვს პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ფრიდონ ინჯია და მისი ახლო ნათესავები ფლობენ წილს და უკავიათ მმართველობითი თანამდებობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ რამდენიმე იურიდიულ კომპანიაში, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს კომუნიკაციების კომისიის რეგულირებად სუბიექტებს. აღნიშნული დეპუტატი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნას საკუთარი ბიზნესინტერესების სასარგებლოდ იყენებს, რასაც მას პარლამენტის ეთიკის კოდექსი უკრძალავს. ამასთან, დეპუტატ ინჯიას განცხადებები არის კომუნიკაციების კომისიის კონსტიტუციით გარანტირებული დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობა, რაც კატეგორიულად მიუღებელი და დაუშვებელია“, – ვკითხულობთ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის განცხადებაში.

კომისია საზოგადოებას ახსენებს, რომ ფრიდონ ინჯია შპს „სისტემ ნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. ამის გამო, დეპუტატი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტს არღვევს, რომლითაც **„საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი“.**

მეტიც, მარეგულირებელი კომისიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფრიდონ ინჯია სხვა ავტორიზებული პირის – შპს „ახალი ქსელების“ წილის (46.238%) მფლობელიცაა. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული იურიდიულ პირებში წილებს ფლობენ ფრიდონ ინჯიას ოჯახის წევრი – მეუღლე და ახლო ნათესავები – შვილი.

არადა, საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 თებერვლის დადგენილებით, „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი“ დამტკიცდა. ამ კოდექსის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრმა, პარლამენტის წევრის სტატუსი თავისი, ოჯახის წევრის, ან ახლო ნათესავის ინტერესებისთვის არ უნდა გამოიყენოს.

„აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ პარლამენტის წევრს გააჩნია, როგორც თანამდებობრივი შეუთავსებლობა, ასევე, მის მიერ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი“, – აღნიშნულია კომისიის განცხადებაში.

ამის შემდეგ, კახა ბექაურის უწყება საკუთარ განცხადებაში განმარტავს, რომ მარეგულირებელი კომისია ინსტიტუციურად და ფინანსურად დამოუკიდებელია, ხოლო ამ დამოუკიდებლობის გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა. უფრო კონკრეტულად, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარანტირებულია მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო ორგანოთა, თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელჰყოს მათი დამოუკიდებლობა.

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **„დაუშვებელია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში ჩარევა, ამ საქმიანობის კონტროლი და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით“,** ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მარეგულირებლის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს **„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ნებისმიერი სახის კონტროლის დაუშვებლობა; ანგარიშის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისთვის, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის წარდგენა, შესაბამისი კანონით დადგენილი წესით“.** ეს წესი განსაზღვრულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, რომლითაც **„კომისია, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ივნისისა, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს“.**

მარეგულირებელი კომისია განმარტავს, რომ ეს საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს კომუნიკაციების კომისიის, როგორც კონსტიტუციური ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ანგარიშვალდებულებას.

რაც შეეხება ფრიდონ ინჯიას განცხადებას, რომლის თანახმადაც, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ირიცხებოდეს და არა კომისიის ბიუჯეტში, კახა ბექაურის უწყებაში მიაჩნიათ, რომ ეს მოსაზრება დასაბუთებულ არგუმენტსაა მოკლებული.

მარეგულირებელი კომისიის საპასუხო წერილს, ევროპელი სოციალისტების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური გამოეხმაურა. „პასუხის პასუხში“ აღნიშნულია, რომ კახა ბექაურის უწყების ბრალდებები აბსურდულია, რადგან ფრიდონ ინჯია კომპანია „სისტემ ნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აღარაა. მეტიც, ინჯია ამ თანამდებობიდან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ანუ კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გადაადგა. შესაბამისად, ინჯიას საკუთრებაში არსებული ყველა წილი, კანონით დადგენილი წესით იქნა გადაცემული.

„აქედან გამომდინარე, პარლამენტის წევრს არ დაურღვევია არც ერთი კანონი და არ გაუვრცელებია მცდარი ინფორმაცია, როგორც ეს აღნიშნულია ეროვნული მარეგულირებელი კომისიის განცხადებაში. პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, იცავს საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. პარლამენტის წევრი იცავს და აძლიერებს საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და რეპუტაციას; იგი კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა უწყების ზედამხედველობას.

სწორედ, პარლამენტის წევრის პირდაპირი ვალდებულებაა, მის წინაშე ანგარიშვალდებულ პირებს, მათ შორის ფინანსთა მინისტრს, დაუსვას კითხვა და მოსთხოვოს რეაგირება ქვეყნის ბიუჯეტის მიმართ ანგარიშვალდებულ პირთა მიერ კანონის მოთხოვნების შესრულებაზე, ხოლო დარღვევებზე მოახდინოს რეაგირება. ისევე, როგორც საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერების შემოწმება, რომელიც თავის მხრივ, კანონით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. პარლამენტის წევრის მიერ, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული პირისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის „სასარგებლოდ“ დასმული კითხვა, ვერანაირად ვერ იქნება მიჩნეული საკუთარი ან მისი ოჯახის წევრების ინტერესების სასარგებლოდ. მეტიც, პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მიხედვით, „პარლამენტის წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია და ემსახურება საზოგადოების წინაშე დეპუტატების ანგარიშვალდებულების ამაღლებას“. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელებაში და არა მის ხელშეშლაში“, – ვკითხულობთ ევროპელი სოციალისტების წერილში.

დიდი დარღვევები გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელწმიფო აუდიტის სამსახურმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტები შეამოწმა. ამჯერად, გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებით დავინტერესდით. აუდიტორებმა 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობა შეისწავლეს. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში, ინფრასტრუქტურული პროექტები დარღვევებით ხორციელდება. გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა, როგორც სახელმწიფო შესყიდვებში, ასევე, ქონების მართვა-განკარგვაშიც.

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში, სახელმწიფო შესყიდვებსა და ქონების მართვა-განკარგვაში - აუდიტის დასკვნა

გურჯაანი

დავიწყოთ გურჯაანის მუნიციპალიტეტით, სადაც ინფრასტრუქტურულ პროექტებში, სახელმწიფო აუდიტორებმა სხვადასხვა სახის დარღვევები გამოავლინეს. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა, გურჯაანის მერიის წარმომადგენლებთან ერთად, 2018-2019 წლებში, მუნიციპალიტეტში მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 9 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული 527 300 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სხვადასხვა ხარვეზი აღენიშნება. ასე, მაგალითად, 2018 წელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა გზის მოასფალტების სამუშაოები, რომელთა ღირებულება 68 600 ლარი იყო. მერიამ ობიექტი ჩაიბარა ექსპერტის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, მაგრამ დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ მოწყობილი ასფალტბეტონის გზის ნაწილი დაზიანებულია.

„ამ ობიექტის გარდა, დათვალიერების შედეგად, ჯამში – 458 700 ლარის ღირებულების ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები გამოვლინდა. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტული და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული პროექტები. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში, გურჯაანის მერიას დადგენილი არ ჰქონდა დაზიანების ზუსტი მიზეზები, ხოლო მათი გამოსწორების მოთხოვნით, მიმწოდებლებს მხოლოდ აუდიტის მიმდინარეობისას მიმართა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2018-2019 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა განახორციელა ქალაქში არსებული სხვადასხვა ქუჩის რეაბილიტაცია. აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები და გამოვლინდა, რომ 10 ქუჩაზე, რომელთა რეაბილიტაციისთვის 1 187 900 ლარი დაიხარჯა, გზის საფარი დაზიანებულია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“, წყლის სისტემის მოწესრიგების დროს, გაჭრა გზის საფარი, ხოლო შემდეგ აღარ აღადგინა. ხარვეზები არც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში იყო გამოსწორებული.

დარღვევები შესყიდვებში

რა თქმა უნდა, სახელმწიფო აუდიტორებმა ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო შესყიდვებში. კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, ელექტრონული ტენდერებით შესყიდვის განხორციელებისას, დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტებს უმიზეზოდ, დაუსაბუთებლად მიანიჭა დისკვალიფიკაცია.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა მაღალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებთან, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტი დაზარალდა. უფრო ზუსტად, გურჯაანის ბიუეტმა 47 500 ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

მოსახლეობის წყალმომარაგება

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის წყალმომარაგება შეფერხებით და დადგენილი სტანდარტების შეუსაბამო წყლით განხორციელდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25 087 ოჯახიდან, 21 444 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით. პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

ხარვეზები ავტოპარკის მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას აღემატება.

შვიდი სამორიგეო ავტომანქანის ნაცვლად, 2018 წელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტს – 11, ხოლო 2019 წელს – 18 მუნიციპალური, ან თანამშრომლების საკუთრებაში არსებული ავტომანქანა ერიცხებოდა. მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას იწვევს.

ქონების მართვა-განკარგვა

დარღვევები გამოვლინდა ქონების მართვა-განკარგვაშიც. კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული კონტროლის მექანიზმები, კუთვნილი შემოსავლების ადმინისტრირების მხრივ, სათანადოდ არ ფუნქციონირებს. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტმა იჯარით გაცემული ქონებიდან, 2019 წლის ბოლოს, ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი 55 000 ლარის ოდენობით; ბიუჯეტში მობილიზებულმა დასუფთავების მოსაკრებელმა 22 600 ლარი შეადგინა, რაც ბიუჯეტით დაგეგმილის მხოლოდ 29%-ია.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აქტივების დაკარგვის, დაზიანებისა და არამართლზომიერი გამოყენების რისკებს.

თელავი

როგორც აღვნიშნეთ, დარღვევები გამოვლინდა თელავის მუნიციპალიტეტშიც. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს, როგორც ფინანსური რესურსების, ასევე, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები.

აუდიტორების მტკიცებით, თელავის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 33.9% და 27.6% დააკლდა.

დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კონტროლის სისუსტის გამო, თელავის მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი ისე წარმართა, რომ დაბალფასიანი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტი არასამართლიანად დააჯარიმა. შედეგად, შესყიდვის ღირებულება 37 800 ლარით გაიზარდა, რაც აუდიტორების მტკიცებით, არაეკონომიურად განკარგული საბიუჯეტო რესურსია.

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტმა 291 300 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის მოწყობაში, არაეფექტიანად დახარჯა საბიუჯეტო სახსრები და ვერ მიაღწია პროექტის განხორციელებით დასახულ მიზანს.

კერძოდ, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება შეფერხებით და დადგენილი სტანდარტების შეუსაბამოდ, სასმელად უვარგისი წყლით, თუმცა მუნიციპალიტეტს არც სათანადო ღონისძიებები გაუტარებია პრობლემის გადასაწყვეტად და არც სამოქმედო გეგმა შეუმუშავებია. ამასთან, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვაში არსებული კონტროლის სისუსტეების შედეგად, 21 800 ლარის საბიუჯეტო სახსრები ზედმეტადაა ანაზღაურებული.

ქონების მართვა-განკარგვა

სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვაში, აუდიტორებმა დარღვევები თელავის მუნიციპალიტეტშიც გამოავლინეს. კერძოდ, სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესში არსებული სისუსტეების გამო, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები.

შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა ხორციელდება არაპროდუქტიულად და ბიუჯეტი კარგავს კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მოსაკრებლების ადმინისტრირებაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, სრულად ვერ ხორციელდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება. აუდიტორების მტკიცებით, თელავის მერიამ სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები არ განახორციელა იმ პირების მიმართ, რომელთაც მოსაკრებლის გადახდა ევალებოდათ.

ხარვეზები ავტოპარკის მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკშიც გამოავლინეს დარღვევები. უფრო ზუსტად, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ თელავის მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს საბიუჯეტო ასიგნებების არაეკონომიურ და არარაციონალურ ხარჯვას.

სამართალი

№5 3 მარტი 2021 წ

სამმა არასრულწლოვანმა, „აბრეზით“, გენერლის მძღოლი თვალში დაჭრა, ქალი კი ცემით მოკლა

წყნეთის გზაზე მომხდარი კრიმინალის ექსკლუზიური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

თანამდებობის პირებს, მაღალი ხელფასისა და ძალაუფლების გარდა, სხვა ბევრი შესაძლებლობაც აქვთ და რაც მთავარია, როგორც ადრე, ახლაც, თანამდებობის პირთათვის, ერთ-ერთი კომფორტი და სავიზიტო ბარათი პირადი მძღოლი იყო და არის. მძღოლმა „ხაზეინის“ ყველა საიდუმლო იცის, ის, ლამის, ოჯახის წევრად ითვლება – ემსახურება უფროსის ოჯახის წევრებს, ბავშვები მიჰყავს სკოლაში, დადის ბაზარში, აგარაკზე. მოკლედ, „ხაზეინის“ მოურავია. მძღოლებს შეუძლიათ არაერთი საქმის „გაიმასქნება“. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდათ წყნეთში, ერთ-ერთ საკუთარ სახლში მაცხოვრებლებს, როცა საღამოს, ფანჯარაზე, თხემით ტერფამდე შიშველმა ახალგაზრდა კაცმა დააკაკუნა და ბოლო ხმაზე იყვირა, მე გენერლის მძღოლი ვარ, სასწრაფოსა და მილიციაში დარეკეთო. თებერვალი იდგა, თოვლი დიდი არა, მაგრამ მაინც იდო და ასეთ დროს, ღამით, შიშველი კაცის დანახვა...

„განყოფილება კი არა, ლამის, მთელი შს სამინისტრო ფეხზე დააყენეს და ეს, იმის მიუხედავად, რომ გენერალი სამხედრო იყო. ადგილზე, შს მინისტრის მოადგილე, ჩემთან ერთად მოვიდა და პირველ გამოკითხვას დაესწრო. როგორც მძღოლი ამბობდა, თვალში „აბრეზიდან“ ესროლეს და ავტომობილი წაართვეს. ექიმებმა მეტის თქმის უფლება აღარ მისცეს, სასწრაფოდ საოპერაციოდ გადაიყვანეს“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გენერლის „ვოლგა“ შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 2 კილომეტრში იპოვეს. მანქანა დაიქოქა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავდამსხმელებმა ის შეგნებულად არ წაიყვანეს. მანქანაში იყო მძღოლის ტანსაცმელი და უკანა სავარძელზე – ქალის პომადა. გზის პირზე ხევი იწყებოდა და სამართალდამცავებმა იქ ჩასვლა დილისთვის გადადეს, თუმცა იმასაც მიხვდნენ, მძღოლი რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა. გენერალი თავის ფეხით მივიდა სამართალდამცავებთან და უთხრა, რომ ღამით მძღოლმა შინ მიიყვანა, დასაძინებლად დაწვა და შემდეგ რა მოხდა, არაფერი იცოდა, თუმცა კატეგორიულად მოითხოვდა, საქმე გამოიძიეთ და დამნაშავეები უმკაცრესად დასაჯეთო.

ექიმებმა მძღოლს თვალი ვერ შეუნარჩუნეს, მაგრამ გადაარჩინეს. ერთ-ერთმა ექიმმა დისერტაციაც კი დაწერა ჭრილობაზე, როგორ მოხვდა კაცს თვალში ტყვია და როგორ არ დაზიანდა ტვინი. სავარაუდოდ, თავდამსხმელებს თვითნაკეთი ტყვიები ჰქონდათ, დენთი დააკლეს და შესაბამისად, საფანტს ისეთი ძალა არ ჰქონდა, თვალის ბადურასთან ერთად, კეფაც გაეგლიჯა. გენერლის პოზიციიდან გათამამებული გამომძიებლები, მძღოლს მეორე დღესვე საავადმყოფოში დაადგნენ.

„ცოდვა გამხელილი სჯობს. სახლში მივდიოდი, როცა გზაზე ახალგაზრდა ქალი შევნიშნე. მანქანაში ჩავისვი, ვკითხე, სად მიგიყვანო-მეთქი და იმან კიდევ, სადაც გინდა, იქ წამოგყვებიო. სასმელის სუნი ასდიოდა და ვიფიქრე, ჩემი შანსია-მეთქი. ქალი დამნაშავე ვერ იქნება, რადგან წყნეთის ტყისკენ მე წავიყვანე, ქალაქში გენერლის „ვოლგას“ ყველა სცნობს და გვიან ღამით, სადმე გაჩერებული რომ შეემჩნიათ, აუცილებლად მოვიდოდნენ და იკითხავდნენ, რამე ხომ არ მიჭირდა. მანქანა ტყის პირას გავაჩერე, არავინ გამომყოლია, ზუსტად ვიცი, ფეხით კიდევ, ამხელა მანძილზე, ვერავინ ირბენდა. უკანა სავარძელზე გადავინაცვლეთ, გავშიშვლდით, ერთმანეთს ჩავეხუტეთ და შუა პროცესში, ფანჯარაზე მოაკაკუნეს. გაბრაზებულმა ჩავწიე ფანჯარა და სანამ რამეს ვიტყოდი, ჩემსკენ მომართული „აბრეზი“ გავარდა. მანქანიდან გადმოვხტი და გავიქეცი, ქალი სად არის, არ ვიცი. თავდამსხმელები სამნი იყვნენ“, – ეს არის მძღოლის მონათხრობი.

სამართალდამცავებმა ქალი მალე იპოვეს. ის იმ ხევში ეგდო მკვდარი, სახეზე მრავლობითი დაჟეჟილობა ჰქონდა ანუ მოკვლის წინ სცემეს და ყელში ორი შემავალი ჭრილობა ეტყობოდა – ის ბასრი საგნით იყო მოკლული. დაადგინეს ქალის ვინაობაც – ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის საბუღალტრო განყოფილების თანამრომელი, დასაქორწინებელი. ვის და რატომ უნდა მოეკლა ქალი, ვერავინ ხვდებოდა. მძღოლი ეჭვმიტანილების სიიდან ამოვარდა, რადგან მას სხვადასხვა ექსპერტიზასთან ერთად, ხელებიც შეუმოწმეს და დაადგინეს, რომ არავისთვის ჰქონდა დარტყმული.

„ჩიხში შევედით. გვყავდა ერთადერთი მოწმე, რომელმაც მხოლოდ თავდამსხმელების რაოდენობა იცოდა, მეტი არაფერი. არანაირი კვალი, არანაირი მასრა და რაც მთავარია, არანაირი თვითმხილველი. შემთხვევის ადგილიდან პირველი სახლი, კილომეტრში იდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შუაღამისას, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ამის მიუხედავად, იქაურები მაინც დავკითხეთ და ერთ-ერთმა თქვა, რომ დაახლოებით, იმ დროს, როცა შემთხვევა მოხდა, შინ ტაქსით მივიდა, თუმცა არავინ დაუნახავს. ტაქსისტი მალე ვიპოვეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ტაქსის მძღოლმა აღიარა, რომ იმ დღეს, უკანა გზაზე, დაინახა, როგორ მიათრევდა სამი ახალგაზრდა ერთ ქალს. მან სვლა შეანელა, თუმცა „აბრეზი“ მიუშვირეს, შეეშინდა და წავიდა. მერე გადაწყვიტა, მილიციაში არ მისულიყო, დაკითხვები და სასამართლოში სირბილი არ უნდოდა... ყველაზე საინტერესო, რაც ტაქსის მძღოლმა თქვა, ის იყო, რომ სამი ახალგაზრდიდან ყველაზე უფროსი, ალბათ, 15-16 წლის იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის დროს, არასრულწლოვნები მკაცრად კონტროლდებოდნენ. კონტროლი იყო სკოლაში, ოჯახში, უბანში... მოკლედ, ყველგან და თუ რომელიმე ახალგაზრდას კრიმინალისკენ მიდრეკილება ჰქონდა, მას განსაკუთრებულად მეთვალყურეობდნენ. ახლო-მახლო უბნებში, აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვნების სია, გამოძიებას მაგიდაზე მეორე დღესვე ედო. გადაამოწმეს რამდენიმე მათგანი, თუმცა ყველას ალიბი ჰქონდა და ასე ხელაღებით სამართალდამცავები ხელს ვერავის დაადებდნენ. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ საქმის გამოძიებას მილიცია ვერ შეძლებდა და გენერლის რისხვასაც ვერ ასცდებოდა, თუმცა მოულოდნელად, სრულიად სხვა შემთხვევის გამო, ყველაფერი შემოტრიალდა.

„ჩემმა თანამშრომელმა ტროლეიბუსის კონდუქტორის განცხადება შემომიტანა და მაგიდაზე დამიდო, ქალი ჩიოდა, ტრანსპორტში ახალგაზრდები ცუდად მომექცნენო. განცხადება ყურადღებით წავიკითხე. როგორც კონდუქტორი წერდა, ტროლეიბუსში სამი ახალგაზრდა ამოვიდა, სამივე, სავარაუდოდ, არასრულწლოვნი იყო. ისინი მოხუც ქალებს კალთაში უსხდებოდნენ, კაცებს თვალებზე ქუდები ჩამოაფხატეს, ხოლო კონდუქტორის შენიშვნასა და მითითებაზე, ნორმალურად მოიქცეითო, სულ გადაირივნენ და მას უმოწყალოდ ცემა დაუწყეს. ისევ სამი ახალგაზრდა, ისევ არასრულწლოვნები. სხვა ხელჩასაჭიდი არ გვქონდა, ამიტომ მათი ძებნა დავიწყეთ, მაგრამ დიდხანს თავის მტვრევა არ დაგვჭირვებია. ტროლეიბუსის მძღოლმა თქვა, ერთ-ერთის მამას ვიცნობ და ვუთხარი კიდეც, მისი შვილი როგორ იქცეოდაო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთის დადგენის შემდეგ, არც დანარჩენი ორის დადგენა გაჭირდა. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ და სკოლაშიც ერთად სწავლობდნენ. სამართალდამცავებმა სიფრთხილით დაიწყეს მათ შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაარკვიეს, რომ ისინი სკოლის სხვა მოსწავლეებზე სისტემატურად ძალადობდნენ და ეს სიამოვნებას ანიჭებდათ. ისინი არ ართმევდნენ ფულს, არ ხდიდნენ ტანსაცმელს, უბრალოდ, ძალადობდნენ, აწვალებდნენ ბავშვებს და ამით ერთობოდნენ.

თვალთვალმა მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ არასრულწლოვნები მართლაც სადისტებივით იქცეოდნენ, სულ ერთი იყო, ვინ რა ასაკის გახლდათ, ყველასა და ყველაფერზე შეეძლოთ გართობა. გადაწყდა, მათი ბინების ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო, ოღონდ ერთდროულად, რომ მეგობრებს ერთმანეთის გაფრთხილება ვერ მოესწროთ.

ერთ-ერთის ბინაში, გამოძიებამ „აბრეზი“ იპოვა და ეს გახდა მთავარი სამხილი.

„ის, ვისთანაც იარაღი ვიპოვეთ, ხმას არ იღებდა, შეძლებული ოჯახიდან იყო და გვიმტკიცებდა, ჩემი მშობლები ყველაფერს იზამენ, აქედან რომ გამიყვანონ და რატომ უნდა ვილაპარაკოო... სამაგიეროდ, დანარჩენმა ორმა დაიწყო თავის მართლება, ჩვენ არ მოგვიკლავს ის ქალიო. როგორც გაირკვა, ისინი წყნეთში, სასაფლაოზე იყვნენ წასულები, რათა საფლავები დაერბიათ. რატომ? თავადაც არ იცოდნენ, უბრალოდ, ასე ერთობოდნენ და „აბრეზიც“ იმ მიზნით წაიღეს, ვინმე თუ გამოგვეკიდა, ვესვრით, შევაშინებთო. მერე დაინახეს მანქანა, სადაც კაცი და ქალი ერთობოდნენ, გადაწყვიტეს გახუმრებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად, სწორედ იმ შეძლებული ოჯახის შვილმა გაისროლა. როცა კაცი გაიქცა, მანვე უთხრა მეგობრებს, მაინც სადღაც მოკვდება, თავში აქვს მორტყმულიო და ქალის მოკვლა გადაწყვიტეს, თუმცა სანამ მოკლავდნენ, სცემეს, წიხლები ურტყეს, ოთხზე დააყენეს და ძაღლივით არბენინეს. შემდეგ კი იგივე ბავშვმა, წაწვეტებული სახრახნისი ყელში ორჯერ შეარჭო“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

რომ არა ასაკი, მათ აუცილებლად დახვრეტას მიუსჯიდნენ. მშობლებმა ვერაფერი გააწყვეს, თუმცა მცდელობა აშკარად ჰქონდათ. საქმეში გენერალი იყო ჩართული. ყველა მათგანს, იმ დროისთვის არასრულწლოვნებისთვის მაქსიმუმი – 10 წელი მიუსაჯეს. მათ სრულად მოიხადეს სასჯელი, მაგრამ რა? ციხიდან 26 წლის ასაკში გათავისუფლდნენ და მშვიდად გააგრძელეს ცხოვრება.

ქმარმა ცოლი დანით მოკლა

ბათო ჯაფარიძე

მკვლელობის მიზეზი ბავშვი გახდა – მოძალადე კაცის სკანდალური აღიარება

არის ასეთი, ქართული ფილმი „ნინო“, რომელშიც ქართული კინოს ვარსკვლავები თამაშობენ. შესაძლოა, ბევრი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში, სამართალდამცავებმა, ერთ-ერთი მკვლელობის საქმეს „ნინო“ დაარქვეს. ყველაფერი ძალიან ბანალურად და მარტივად დაიწყო. დილით, სამართალდამცავებმა, სკვერში, ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვეს. ქალს მუცელში, ცივი იარაღით მიყენებული რამდენიმე ჭრილობა ეტყობოდა. იმის მიუხედავად, რომ გარდაცვლილს საბუთები არ ჰქონდა, მისი ვინაობა მალე დაადგინეს. იმავე დილით, განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა, რომელმაც განაცხადა, გუშინ, ღამით, ცოლი შინ არ დაბრუნდაო და... მორგში გადასვენებულ გვამში, საკუთარი მეუღლე ამოიცნო.

„პირველი, რამაც დამაინტერესა, ის იყო, თუ რატომ არ მოვიდა ეს კაცი განყოფილებაში იმავე ღამეს. ცოლი შინ რომ არ დაბრუნდება, ხომ უნდა შეწუხდე, მაგრამ აგვიხსნა, რომ მისი 6 წლის შვილს სიცხე ჰქონდა, ტელეფონით ყველა ნაცნობს და ნათესავს დაურეკა და ბავშვი ვერავის დაუტოვა, ამიტომ მილიციაში მისვლა დილისთვის გადადო, ბავშვი შინ მარტო დატოვა და ტირილით თავს იკლავდა, შვილს რა ვუთხრა, რომ მივალო“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ესქპერტებმა დაადასტურეს, რომ ქალი ცივი იარაღით იყო მოკლული, თუმცა მკვლელობა სხვაგან მოხდა, რადგან სისხლის კვალი ადგილზე, პრაქტიკულად, არ იყო. ქალი იქ გარდაცვლილი მიიყვანეს და დატოვეს. პირველ რიგში, სამართალდამცავებმა ბინის ჩხრეკა ჩაატარეს იმ იმედით, რომ ნახავდნენ ნივთს, ჩანაწერს, ან რამეს, რაც მკვლელობის სავარაუდო მოტივსა და მკვლელზე მიუთითებდა.

ჩხრეკამ არაფერი მოიტანა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ოჯახი, ქალი ძალიან ლამაზი და გამორჩეული, კაცი – ბევრი არაფერი. გამოიკითხნენ მეზობლები, მეგობრები და ყველამ ერთხმად დაადასტურა, ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდათ, სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი და ქალი ქმრის გარდა, სათოფეზეც კი არავის უშვებდა ახლოსო. ვერსია, რომ ქმარს უღალატა, სანაცნობო-სამეგობროში არც კი განიხილებოდა. ექსპერტიზამაც აჩვენა, რომ ქალს სიკვდილამდე, არც ინტიმური კავშირი ჰქონია ვინმესთან და არც გაუპატიურებული იყო. ის ძვირფასეულობა, რომელიც ჰქონდა, შინ იყო ანუ ქურდობის ვერსიაც გამოირიცხა.

არსად ჩანდა ჩანთა, რომელიც წესით, გარდაცვლილს უნდა ჰქონოდა. ქმარმა თქვა, ლურჯი ჩანთა იყო, ზუსტად ვიცი, სამ მანეთზე მეტი არ ედო ჩანთაში, დილით სამსახურში რომ გავიდა, ასე თქვა, სამი მანეთი მეყოფა მგზავრობისთვისაც და პურის საყიდლადაცო. ესეც გამორიცხავდა ქურდობის მიზნით მკვლელობას.

სამსახურში ქალი დადებითად დაახასიათეს. ის საკონსერვო ქარხანაში, წუნმდებლად მუშაობდა. თანამშრომლებმა თქვეს, რომ მთელი დღის განმავლობაში, მისთვის უცნაური არაფერი შეუნიშნავთ, საღამოს, ჩვეულებისამებრ, შინ წავიდა და ზუსტად იმ გაჩერებაზე ჩავიდა, სადაც ჩადიოდა ხოლმე. მეტიც, სახლთან, დაახლოებით, 100 მეტრში მდებარე მაღაზიაში პურიც იყიდა, მაგრამ კვალი აქ წყდებოდა.

ქმარი ამტკიცებდა, შინ არ მოსულაო და მეზობლებიდანაც ვერავინ ნახეს ისეთი, ვინც სადარბაზოში შესული დაინახა. ლოგიკურად, მაღაზიიდან სახლამდე მოხდა ისეთი რამ, რაც სამართალდამცავებს უნდა ამოეხსნათ. ახლო-მახლო მდებარე კორპუსების მაცხოვრებლები უბნის რწმუნებულთან გადაამოწმეს. ახლომდებარე კორპუსებში, ოთხი, ნასამართლევი პირი ცხოვრობდა, თუმცა ოთხივეს მყარი ალიბი ჰქონდა. რაც მთავარია, ერთიც არ იყო ადრე, მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული და მკვლელობაზე წასვლა გაუჭირდებოდა.

„ჩვენ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. ყველა ერთად, ახალი ბინების აშენებას ველოდით. სწორედ იქ გაიცნეს ცოლ-ქმარმა ერთმანეთი და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ მორიდებულ და არაფრით გამორჩეულ კაცს ნინო გვერდით არ გაიკარებდა, ცოლად გაჰყვა. ეს ყველას გაუკვირდა, თუმცა ისეთი ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ, ყველას მათი შურდა. თავზე არასდროს გადასდიოდათ, მაგრამ არც უჭირდათ, ჩვეულებრივი, საშუალო შეძლების ოჯახი იყო, ისეთი, როგორიც უმრავლესობაა“, – ეს ინფორმაცია გამომძიებლებს, გარდაცვლილის უახლოესმა მეგობარმა მიაწოდა.

„ტყუილ-უბრალოდ, მაშინ არავის კლავდნენ, ამიტომ დავიწყეთ ყველასა და ყველაფრის შემოწმება. მიუხედავად კოლოსალური შრომისა, ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვეთ. მინიშნებითაც კი ვერავინ ამბობდა, რატომ შეიძლებოდა მოეკლათ ქალი, რომელიც არავის არაფერს უშავებდა. გაჩნდა ვერსია, რომ მას თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, რომელმაც ვერ აიტანა მუდმივი უარი და ქალი მოკლა, მაგრამ ამ ფაქტს ვერავინ ადასტურებდა. ნებისმიერს, ვინც კი ზღვარს ოდნავ გადავიდოდა, ნინო ისეთ პასუხს სცემდა, მეორედ, ანალოგიურ თემაზე დალაპარაკებას ვერ უბედავდა, თანაც მისი მარშრუტი სახლი-სამსახური იყო, თუ სადმე დადიოდა თავისუფალ დროს, ასიდან ას შემთხვევაში, გვერდით ქმარი და შვილი ჰყავდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ორ თვეში, სამართალდამცავებმა მძარცველების ბანდა დააკავეს. ისინი ქუჩაში ქალებს ოქროულს ხსნიდნენ და ჩანთებს ართმევდნენ. ჩხრეკის შედეგად, მათი სახლებიდან ოცამდე ჩანთა ამოიღეს, რომელთა შორის, ოთხი ლურჯი იყო. გამომძიებლებმა ჩანთები ამოსაცნობად ქმარს აჩვენეს, თუმცა მან უარყო, აქედან ჩემი ცოლის ერთიც არ არისო.

„არ ვიცი, რა, მაგრამ რაღაც არ მომეწონა. თითქოს გაუბედავად ათვალიერებდა ჩანთებს, თითქოს ყურადღებით არ იყო. მოკლედ, ახლაც არ ვიცი, რა არ მომეწონა და ამიტომ, ჩანთები გარდაცვლილის დაქალს მივუტანე. ჰო, კი არ დავიბარე, არამედ, სახლში დავადექი და მივუტანე. როცა ვუთხარი, რომელი ჩანთაა აქედან ნინოსი-მეთქი, ისიც არ დააკვირდა, მარტივად მიპასუხა, ნინოს ლურჯი ჩანთა არ ჰქონიაო. გაოცებისგან პირი დავაღე, რადგან ქმარი საპირისპიროს ამტკიცებდა, დაქალი კი გაჯიუტდა, ერთადერთი ჩანთა ჰქონდა, რომელიც სამსახურში ყოფნის დღესაც, მკლავზე ეკიდაო. ის ჩანთა ჩვენ გარდაცვლილის სახლში ვნახეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები გარდაცვლილის ოჯახში მივიდნენ, თუმცა ამჯერად, ექსპერტებთან ერთად, მუშებიც მიიყვანეს. მათ მისაღებში იატაკი აყარეს, სამზარეულოში კი ლინონიუმი ააგლიჯეს. სწორედ ლინონიუმის კუთხეში, თითის ერთ დადებაზე, მუქი, გამხმარი სითხე ჩანდა. ექსპერტმა სინჯი აიღო და იქვე თქვა, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს გამხმარი სისხლია და რისი სისხლია, ხვალ მეცოდინებაო. ნინოს ქმარი დააკავეს, ბავშვი მის დას გაატანეს დროებით და მეორე დღეს, უკვე სოციალურ სამსახურს დაუკავშირდნენ, ბავშვის მომავალი რომ გარკვეულიყო.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბავშვი მამას დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ ნახავდა, რადგან სისხლი ნინოს ეკუთვნოდა. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან სამართალდამცავებმა სისხლი სამზარეულოს კედლებზეც ნახეს. კაფელიდან საგულდაგულოდ კი იყო ჩამოწმენდილი, მაგრამ სისხლის კვალი მაინც იპოვეს. ქმარი იძლებული გახდა, აღიარებითი ჩვენება მიეცა.

„ყველაფერი იმაზე კარგად მიდიოდა, ვიდრე წარმომედგინა. არ ვიცი, რა მოეწონა ნინოს ჩემში, მაგრამ ცოლად გამომყვა და ბედნიერი ოჯახი შევქმენით. ერთ წელიწადში, გოგონა გვეყოლა და ყველაფერი ამის შემდეგ აირია. სამშობიაროს პალატაში, სადაც ნინო იწვა, ვიღაც ქალმა შვილი მიატოვა, ბიჭი. ბავშვს რომ არ ეტირა, ძუძუს ჩემი ცოლი აწოვებდა და ერთი კვირის მერე, სახლში რომ წამოვიყვანე ცოლ-შვილი, ამიტყდა, გინდა თუ არა, ის ბიჭი უნდა ვიშვილო, აღარ შემიძლია მის გარეშეო. არ გვიჭირდა, მაგრამ არც გვილხინდა და ზუსტად ვიცოდი, ორი ბავშვის შენახვა მათხოვრებად გვაქცევდა, ამიტომ კატეგორიული უარი ვუთხარი. ეს ბავშვი ბავშვთა სახლში გააგზავნეს და ცოლმა იქ დაიწყო სიარული. არავის ეუბნებოდა, მხოლოდ მე ვიცოდი, ჩაიცვამდა, წავიდოდა, მთელ დღეს იმ ბიჭთან ატარებდა. სამწუხაროდ, ის ბავშვი არავინ იშვილა, ნინო კი მეუბნებოდა, თუ კიდევ გინდა შვილი, ჯერ ის ბიჭი წამოვიყვანოთ იქიდან, მერე გაგიჩენო. აი, რა სისულელეა, გაზარდო სხვისი შვილი, როცა საკუთარი გყავს?! იმ დღესაც, სამსახურიდან რომ დაბრუნდა, თქვა, ორშაბათს საბუთები ან განქორწინებაზე შემაქვს, ან ბავშვის შვილად აყვანაზეო. ვეღარ მოვითმინე, გადამეკეტა და აზრზე რომ მოვედი, ხელში სისხლიანი დანა მეჭირა, ნინო კი სამზარეულოში უსულოდ ეგდო. დაღამებას დაველოდე, გვამი სკვერში გავიტანე და დავტოვე, სახლში კი ყველაფერი მოვწმინდე. მკვლელობის იარაღი გადავაგდე – მიწაში ჩავარჭე ღრმად და მორჩა. დრო უკან რომ დაბრუნდეს, იგივეს არ ვიზამდი, მაგრამ იმ ბიჭს მაინც არ ვიშვილებდი“, – დაასრულა აღიარება ქმარმა.

სასამართლომ მკვლელს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ეს იმით ახსნა, რომ გოგონა მარტო არ უნდა დარჩენილიყო ანუ ორივე მშობლის გარეშე. ბატონმა თენგიზმა ისიც თქვა, იმ ბიჭის ნახვა მეც მომინდა, ოთხი თვის შემდეგ მოვიცალე, ტკბილეულით დატვირთული მივედი, ყველა ბავშვს ეყოფოდა, თუმცა ის ბიჭი ვერ ვნახე, რამდენიმე კვირის გაშვილებული ჰყავდათო.

გოგონა საკუთარ ქორწილში დანით აჩეხეს

ბათო ჯაფარიძე

ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა – სოციალური განსხვავება ყოველთვის არსებობდა. ადრეც იყო გრანდიოზული ქორწილები და შინაურობაში გადახდილი ქორწილი, სადაც მხოლოდ უახლოესი ნათესავები იყრიდნენ თავს. პანდემიის გამო, დღეს, ნებისმიერი სახის დღეობა აკრძალულია, თუმცა ადამიანები მაინც ახერხებენ ჩუმ-ჩუმად შეკრებას. დაახლოებით, ასეთ მცირე შეკრებაზე მოხდა ის, რაც შემდეგ წიგნში შეიტანეს, როგორც პრეცენდენტული და მომავალ გამომძიებლებს, სხვა რამესთან ერთად, ამ საქმესაც ასწავლიდნენ.

ვინ არის ფოტოგრაფი, რომელიც პატარძლებზე „ნადირობს“ – სისხლიანი ქორწილების ქრონიკა

„საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთან რეგიონში, ბიჭმა ცოლი მოიყვანა. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ, დაახლოებით, 20 კაცამდე შეიკრიბა და მასპინძლებიცა და მაყარიც, ერთ ოთახში დაეტია. თბილისს გარეთ მომხდარი დანაშაულები ნაკლებად მეხებოდა – განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ვიყავი, ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს, მკვლელობა მოხდა და უნდა წახვიდეო. მოკლული პატარძალი აღმოჩნდა და საქმემ დამაინტერესა. ვერ ვხვდებოდი, ვის უნდა მოეკლა პატარძალი, შუა სუფრის დროს. მთაში ქალიშვილობის ინსტიტუტს მკაცრად იცავდნენ და ამის ნიადაგზე მკვლელობაც შესაძლებელი იყო, მაგრამ რა ქალიშვილობა, პატარძალი სუფრიდან ადგა, გავიდა და 10 წუთში, დანით დაჩეხილი ნახეს“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც სტუმრები აცხადებდნენ, მკვლელობა გაურკვეველ ვითარებაში მოხდა. პატარძალი სუფრიდან ადგა და გავიდა. დაახლოებით, ათ წუთში, სიძემ მოიკითხა და გაჩნდა ეჭვი, რომ გოგო ნათესავებმა დამალეს – არის ასეთი ტრადიცია: პატარძალს მალავენ და მერე, სიძეს ფულს სთხოვენ, ამიტომ ყველა მხიარულობდა და იცინოდა, თუმცა სიძემ საკუჭნაოში, დანით სასტიკად მოკლულ პატარძალს მიაგნო და ღრიალი დაიწყო. სუფრის ყველა წევრი დარწმუნებული იყო, რომ სახლში უცხო არ შესულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოძიებას მკვლელი მხოლოდ იქ მყოფებს შორის უნდა ეძებნა.

„ადგილზე მისულმა პირველი, რაც დავაფიქსირე, ფოტოგრაფი იყო. ფოტოგრაფის მომსახურება მაშინ იაფი არ ღირდა, რადგან ვიდეოგადაღება არ არსებობდა და ტელევიზიის აპარატურას კი არავინ მოიტანდა. როგორც ამიხსნეს, ფოტოგრაფი პატარძლის ძმის ნაცნობი იყო, მან სთხოვა წაყოლა და ისიც უფასოდ წაჰყვა. ორი ფირი გადაღებული ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა აღბეჭდილი იქნებოდა. ფირების გამჟღავნების შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ დაკითხული მყავდა სუფრის აბსოლუტურად ყველა მონაწილე, გარდა ერთისა, რომელიც ვერავინ იცნო, არადა, ორ კადრში ჩანდა და ორივე კადრი სახლის ეზოში იყო გადაღებული. უცხო კაცზე რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერავინ გვითხრა, ყველა მხრებს იჩეჩავდა, არ დაგვინახავსო, თუმცა პატარძლის 7 წლის დამ თქვა, მე დავინახე, როგორ მოვიდა ეს კაცი მანქანით, როგორ ესაუბრებოდა ჩემს დას, შემდეგ შავი ვარდი აჩუქაო. პატარძლის დედამ დაადასტურა, შავი ვარდი ოთახში ვნახე და სანაგვეში ჩავაგდეო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამოძიებამ სანაგვეში შავი ვარდი, მართლაც, იპოვა, თუმცა ექსპერტმა დასკვნა დადო – ვარდი წითელია, შავი საღებავით აქვს ფერი შეცვლილი და რაც მთავარია, გამოყენებულია ავტომობილების შესაღებად განკუთვნილი სპეციალური დანადგარიო. ეს გამიძიებისთვის ახალი ხელჩასაჭიდი იყო. მაშინ საქართველოში ძალიან ცოტა იყო ისეთი ადგილი, სადაც ავტომობილის შეღებვა შეიძლებოდა და სამ დღეში, სამართალდამცავებს, სურათზე აღბეჭდილი „მალიარი“ დაკითხვაზე ჰყავდათ.

„მე და გარდაცვლილს ერთმანეთი გვიყვარდა, შემდეგ ჯარში წავედი, იქიდან დაბრუნებულს კი მითხრა, რომ სხვა ჰყავდა და ცოლად უნდა გაჰყოლოდა. ქორწილამდე ერთი კვირით ადრე, წერილი გამომიგზავნა, ვთხოვდებიო. ავედი და შავი ვარდი ავუტანე, ჩემთან შევღებე. სულ 5 წუთი გავჩერდი და უკან დავბრუნდი“,-ეს არის ამონარიდი „მალიარის“ ჩვენებიდან.

ექსპერტებმა ის ტანისამოსი შეისწავლეს, რომელიც მამაკაცს იმ დღეს ეცვა. ტანსაცმელზე საღებავის წვეთები აღმოჩნდა, სისხლის კვალი – არა. ექსპერტები კი ამტკიცებდნენ, გამორიცხულია, მკვლელს ტანსაცმელზე ერთი წვეთი სისხლი მაინც არ შესხმოდაო. შეამოწმეს ყველას ტანსაცმელი, მაგრამ უშედეგოდ. ისე ჩანდა, რომ მკვლელი ქორწილის სტუმრების შორის არ იყო, მაგრამ როგორც ყველა ამტკიცებდა, უცხო არავინ ყოფილა!

„პირში ჩალაგამოვლებული დავრჩი. საქმე თაროზე შემოვდე, რადგან ხელში არაფერი მეჭირა, თან სად შევრცხვი – სადღაც, მთაში... არ მეგონა, თუ ჩემზე ჭკვიანი დამნაშავე, ასეთ მიყრუებულ მხარეში იცხოვრებდა. როგორც წესი, ასეთები ასპარეზად დიდ ქალაქებს ირჩევენ ხოლმე. რა უნდა მექნა? დარწმუნებული ვიყავი, ანალოგიური რამ აღარ მოხდებოდა ანუ ქორწილში პატარძალს არავინ დაჩეხავდა, ვერც სხვა კვალს მივაგენი და ხელი ჩავიქნიე“, – ღიმილით გვიამბობს საკუთარ გაწბილებას ბატონი თენგიზი.

წელიწადზე ოდნავ მეტი იყო გასული, როცა თბილისში, ქორწილში, პატარძალი დაჭრეს. ჰო, კი არ მოკლეს, დაჭრეს, რადგან პირველი ჭრილობის შემდეგ, მან არაადამიანური ხმით იყვირა და მკვლელი გაიქცა. ყველაფერი ეს, იმ რესტორნის საპირფარეშოში მოხდა, სადაც ქორწილი იმართებოდა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები ადგილზე მალე მივიდნენ და იმის მიუხედავად, რომ ქალმა დაკივლება მოასწრო, ვერ დაინახა, ვინ დაარტყა დანა, რადგან თავდამსხმელი ზურგიდან მიეპარა.

„სასწრაფო წესით ჩამოვიღე თაროდან ძველი საქმე და სტუმრების შედარება დავიწყე. მაინტერესებდა, ხომ არ იყო ამ ორ ქორწილში ერთი და იგივე პირი, თუმცა გაწბილება მელოდა – არცერთი სახელი და გვარი არ დაემთხვა, თანაც ეს ცოტა მასშტაბური ქორწილი იყო და დაპატიჟებული სტუმრების სია მომიტანეს. შესაძლებელი იყო, ვინმე უცხო ყოფილიყო და ამიტომ, ფოტოგრაფი მოვიკითხე. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ფოტოგრაფი იგივე აღმოჩნდა, რომელიც იქ, მთაში იღებდა ქორწილს. მთავარი ეჭვმიტანილიც სწორედ ის გახდა და მისი სახლისკენ, ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, დაუყოვნებლივ გავედი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებს ფოტოგრაფი შინ არ დახვდათ. 35 წლის კაცი, სრულიად მარტო ცხოვრობდა, თუმცა მისი ბინის კარი, მოწმეების თანდასწრებით, გააღეს და ჩხრეკა ჩაატარეს. ჩხრეკის შედეგად იპოვეს სისხლიანი პერანგი, რომელიც დაჭრილი პატარძლის სისხლის ჯგუფს დაემთხვა. ეს უკვე მყარი სამხილი იყო და ფოტოგრაფზე ძებნა გამოცხადდა. ის მესამე დღეს... დაღესტანში დააკავეს.

„ცოლის მოყვანის მცდელობა სამჯერ მქონდა, მაგრამ სამივეჯერ, ქალებმა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. შემდეგ, სამივემ მითხრა, მინდა, ჩემს ქორწილში იყო ფოტოგრაფიო, ამით ბოლომდე მიწასთან გამასწორეს. ჰოდა, მას შემდეგ, პატარძლები შემძულდნენ. რამდენჯერმე გამიჩნდა მათი მოკვლის სურვილი, მაგრამ ვერ ვბედავდი. ერთი წლის წინ კი, პატარძალი სრულიად მარტო შემეჩეხა და ბევრი არ მიფიქრია, დანა რამდენჯერმე დავარტყი. სამსახურის კოსტიუმი მეცვა, გავიხადე, მანქანაში დავმალე, ახალი ჩავიცვი და დავბრუნდი. ფოტოგრაფი ქორწილებში ყველაზე თავისუფალი კაცია, მიდის, მოდის, ყურადღებას არავინ აქცევს და რაც მთავარია, კადრში არ ხვდება. ამიტომაც, ვერ შენიშნეს გამომძიებლებმა, რომ ერთი წლის წინ, ქორწილში, სხვადასხვა კოსტიუმი მეცვა, თორემ საქმეს იქვე გახსნიდნენ, უბრალოდ, მე ფოტოებზე არ ვიყავი. ახლაც იგივეს გაკეთება მსურდა, მაგრამ ფატამ შემიშალა ხელი, პირზე ვერ ავაფარე, თითები ამებლანდა და პატარძალმაც ისეთი ხმა ამოუშვა, მეგონა, ჭერი ჩამოიქცეოდა“, – ესაა ფოტოგრაფის აღსარების ფრაგმენტი.

სასამართლოზე ფოტოგრაფმა ერთი მოსამართლე აიცილა, აქაოდა, ქალია, მიკერძოებული იქნებაო. კაცმა მოსამართლემ 15 წელი მიუსაჯა და როგორც მერე ახსნეს, დახვრეტის მუხლს ერთადერთი მიზეზის გამო ასცდა – მეორე მსხვერპლი არ გარდაცვლილა, მხოლოდ ერთი მკვლელობისთვის კი, ძალიან იშვიათად ხვრეტდნენ.

საპატრულო პოლიციამ, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპატრამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ერთი პირი, 1971 წელს დაბადებული ი.ნ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, ბრალდებულის კუთვნილი, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს, რომელზეც შესაბამისი ექსპერტიზა დაინიშნება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

შსს-მ გლდანში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ა.შ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 27 თებერვალს, გლდანის მეოთხე მიკრორაიონში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე პირს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც ბრალდებულმა ა.შ.-მ, დანის გამოყენებით ორ პირს – 1993 წელს დაბადებულ ო.ი.-სა და 1982 წელს დაბადებულ ლ.კ.-ს სხეულზე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ა.შ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. საქმესთან დაკავშირებით, გრძელდება ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 117-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა კახეთის რეგიონში სიჩქარის კონტროლის ოთხი სექცია აამოქმედა



2021 წლის 1 მარტიდან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, კახეთის რეგიონში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო სიჩქარის კონტროლის ოთხი სექცია ამოქმედდა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ მატნიდან სოფელ დუისამდე (ნებადართული სიჩქარეა 80 კმ/სთ);
2. ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ დუისიდან სოფელ ჯოყოლომდე (ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ);
3. ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ ჯოყოლოდან სოფელ დუისამდე (ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ);
4. ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ დუისიდან სოფელ მატნამდე (ნებადართული სიჩქარეა 80 კმ/სთ).

სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით სულ, საქართველოს მასშტაბით, უკვე 1213 კმ. სიგრძის საავტომობილო გზა გაკონტროლდება.

შსს-ს განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისიდან სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობების ამოღებაზე

2021 წლის 23 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამართალდამცველებისთვის ჯგუფურად წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისიდან, სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობები ამოიღეს და დალუქეს, რადგან არსებობდა საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი ინფორმაციის განადგურების ან/და სამომავლოდ მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები სასამართლომ კანონიერად სცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს აცნობეს, რომ გამოცხადებულიყვნენ სამინისტროში, რათა პარტიის ოფისიდან ამოღებული ტექნიკური მოწყობილობები დაბრუნებოდათ, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

ამის შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარტიას ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ გამოყონ კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოფისიდან ამოღებული ტექნიკური საშუალებები გადაეცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ზუგდიდში მომხდარ ყაჩაღობაზე

ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე, 26 თებერვალს, დღის პირველ ნახევარში ყაჩაღობის ფაქტი მოხდა. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი ოქროს ბირჟაზე შეიჭრა და ერთ-ერთ გამყიდველს, იარაღის მუქარით, ოქროს ნივთები გასტაცა, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მე-3 და მე-4 ნაწილებით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მომხდარი ყაჩაღობის ფაქტიდან მალევე, ცხელ კვალზე დაიწყეს ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებები.

რუსთაველის ქუჩიდან მოშორებით, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენმა პირმა, მას შემდეგ, რაც სამართალდამცველები შენიშნა, მათი მიმართულებით, იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რასაც პოლიციის მხრიდან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უკიდურესი ღონისძიების სახით, საპასუხო სროლა მოჰყვა, ვინაიდან არსებობდა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

შემთხვევის ადგილზე თავდამსხმელი, 1996 წელს დაბადებული პირი, პოლიციამ უგონო მდგომარეობაში ნახა, რის შემდეგაც, სამართალდამცველებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით, ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზები.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის, 2019 წლიდან ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2019 წლიდან, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის ძებნილი პირი, 1972 წელს დაბადებული ბ.გ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბ.გ.-მ, 2019 წლის აპრილში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიშში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, თავის ნაცნობს – ა.ლ.-ს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა და მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს კლინიკაში შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, სსკ-ის 19-108-ე და 236-ე მუხლებით ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ზუგდიდის სასამართლომ ბ.გ. დამნაშავედ სცნო და დაუსწრებლად, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

police.ge

ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც სხვა ფეხბურთს თამაშობს

რუსეთის პრემიერლიგაში მეორე წრე დაიწყო და ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ხვიჩა კვარაცხელიას ასპარეზობით დავინტერესდით, თანაც ხვიჩას „რუბინს“, მოსკოვში, „სპარტაკთან“ ურთულესი გასვლა ელოდა. შეხვედრა ყაზანელებმა 2:0 მოიგეს და აი, რა დაწერეს რუსებმა ნამატჩევს.

„შეხვედრა ცუდ საფარზე, ლამის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა, მაგრამ ეს მატჩი საინტერესოდ ხვიჩა კვარაცხელიამ აქცია - ორივე გოლში, ლომის წილი დაიდო, ჯერ საგოლე გადაცემა გააკეთა, შემდეგ კი ბურთი ისეთი სიძლიერით დაარტყა, მეკარემ მოიგერია და დამატებაზე, ხვიჩას თანაგუნდელმა ყველას დაასწრო. ქართველი, თითქოს, სხვა ლიგიდანაა, თითქოს, სხვა ფეხბურთს თამაშობს, ისეთს, როგორსაც ჩვენს ჩემპიონატში ვერავინ ახერხებს. არავის გაჰკვირვებია, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, სწორედ კვარაცხელია დაასახელეს. მან „სპარტაკს“, პრაქტიკულად, მარტომ მოუგო და თან ისე, რომ ამისთვის დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია“, - წერს რუსული მედია.

ფაქტია, რომ ხვიჩა „რუბინისთვის“ უკვე ძალიან გაიზარდა და კარიერა ევროპულ გუნდში უნდა გააგრძელოს. ყაზანური კლუბი მას 25 მილიონ ევროდ აფასებს, მაგრამ თუ „კვარამ“ ასე გააგრძელა, სეზონის ბოლომდე, ფასი კიდევ მოემატება.

ქართველმა მოჭიდავეებმა კიევი დაიპყრეს

26-28 თებერვალს, უკრაინის დედაქალაქში, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის, პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. საქართველოს ეროვნული ნაკრები ტურნირზე გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატია და მწვრთნელებმა ძირითადი შემადგენლობის არაერთი წევრი დაასვენეს. ამის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა საოცარი შედეგი აჩვენა და საქართველოში გუნდური პირველი ადგილითა და 15 მედლით დაბრუნდა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 5 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 ბრინჯაო;
ნუგზარ წურწუმია (55 კგ) - ოქრო;
ლერი აბულაძე (63 კგ) - ოქრო;
რამაზ ზოიძე (67 კგ) - ოქრო;
აივენგო რიკაძე (82 კგ) - ოქრო;
იაკობ ქაჯაია (130 კგ) - ოქრო;
ჯონი ხეცურიანი (67 კგ) - ვერცხლი;
შმაგი ბოლქვაძე (72 კგ) - ვერცხლი;
ლაშა გობაძე (87 კგ) - ვერცხლი;
გიორგი მელია (97 კგ) - ვერცხლი;
ზვიად პატარიძე (130 კგ) - ვერცხლი;
რამაზ სილაგავა (55 კგ) - ბრინჯაო.

თავისუფალი ჭიდაობა (2 ოქრო, 2 ბრინჯაო);
ნიკა კენჭაძე (79 კგ) - ოქრო;
ირაკლი მწითური (92 კგ) - ოქრო;
გიორგი სულავა (74 კგ) - ბრინჯაო;
გივი მაჭარაშვილი (125 კგ) - ბრინჯაო.

მერაბ ჟორდანია „აუსტრიას“ ყიდულობს

წინა კვირას, ავსტრიაში გამომავალმა, პრაქტიკულად, ყველა სპორტულმა გამოცემამ ერთდროულად გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და წარმატებული კლუბი, ვენის „აუსტრია“ იყიდება და მას ქართველი შეიძენს. საუბარი სფფ-ის ყოფილ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიაზეა, რომელიც მანამდე, ჰოლანდიური „ვიტესის“ მფლობელი იყო, ახლა კი ავსტრიული კლუბის ყიდვა სურს.

ამ მოარულ ხმას ისიც ადასტურებს, რომ „აუსტრიას“ მეორე გუნდში, ჟორდანიას შვილი, ლევან ჟორდანია ჩაირიცხა. ჟორდანია-უმცროსი ნახევარმცველია და ბოლოს, თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა.

გიორგი წიტაიშვილმა არჩევანი ეროვნულ ნაკრებზე გააკეთა

საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველი, გიორგი მიქაუტაძე ბელგიის მეორე ლიგის „სერენსში“ თამაშობს და გასულ უქმეებზე, მისი გოლით გუნდმა „ლიერსი“ დაამარცხა. გიორგისთვის ეს, სეზონში მე-17 გოლია და სანაკრებო მატჩების წინ, მისი ფორმაში ყოფნა ძალიან კარგია.

მოგეხსენებათ, არსებობდა შანსი, რომ გიორგი სანაკრებო კარიერის აწყობას საფრანგეთის ეროვნულ გუნდში შეეცდებოდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის აქტიური ჩარევის შემდეგ, ეს საკითხი საჩვენოდ მოგვარდა.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს გიორგი წიტაიშვილიც. კიევის „დინამოს“ ფორვარდი 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ოქროს მედლის მფლობელი, უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში გახდა და ფინალში გოლიც კი გაიტანა, თუმცა ცოტა ხნის წინ, წიტაიშვილს ბაბუა გარდაეცვალა და მისი ბოლო სურვილი იყო, რომ შვილიშვილი საქართველოს ნაკრების მაისურით ეხილა. გიორგიმაც არჩევანი ჩვენს სასარგებლოდ გააკეთა.

ბექჰემი მესისა და რონალდუს „დავერბოვკებას“ ცდილობს

ფეხბურთის მოყვარულები დამეთანხმებიან, რომ ბოლო ათ წელზე მეტია, საფეხბურთო სამყარო ორი მონსტრის - ლიონელ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს გარშემო ტრიალებს. ალბათ, ბევრს უფიქრია, რა იქნებოდა, ამ ორ ფეხბურთელს ერთ გუნდში რომ ეთამაშა და... სწორედ ამის გაკეთებას დევიდ ბექჰემი აპირებს.

ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი, ამჟამად, ამერიკული საფეხბურთო კლუბ „ინტერ-მაიამის“ მფლობელია და სურს, ორივე საკუთარ გუნდში იხილოს.

„მე რეალისტი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ დღეს და ხვალ, არც მესი და არც რონალდუ აშშ-ში სათამაშოდ არ წამოვლენ. მათ ამბიცია და გამარჯვების სურვილი აქვთ, რაც ევროპას უკავშირდება, თუმცა შინაგანად მჯერა, რომ კარიერის ბოლო წლების გატარება მათ აშშ-ში მოუნდებათ და ჩემი გუნდის კარი ორივესთვის ღიაა, თანაც არ მგონია, ლეოსა და კრიშტიანუს, სხვებზე ნაკლებად აინტერესებდეთ და ხიბლავდეთ ერთ გუნდში თამაში“, - განაცხადა დევიდმა.

გოგონები ჩინეთის არმიაში:

მხატვარი ჰუ მინ 1955 წელს, ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ოფიცრის ოჯახში დაიბადა. თავადაც მიჰყვა მამის კვალს და მაიორის წოდებას მიაღწია, მაგრამ მხატვრობა ყოველთვის მის მთავარ გატაცებად რჩებოდა.

ჩინელი ჯარისკაცი გოგონების შესახებ ნახატების სერიას ჰუ მინის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. გამხდარი გოგონების ნაცვლად, ის კომუნისტური პარტიის ძლიერ, მაგრამ წარმოუდგენლად სექსუალურ მებრძოლებს ხატავდა, რომლებიც მამაკაცებთან მხარდამხარ იდგნენ მანქანებსა და ბრძოლის ველზე. ნამდვილი წითელი სექსუალური რეალიზმი სისასტიკისა და სინაზის შესანიშნავი ნაზავია.



ჰუ მინის სექსუალური ფერწერა



როგორ დაალწევს დედამიწა თავს კორონაშოკს

ლეგენდარული ასტროლოგის, ბერნარდ ფიცვალტერის ყველაზე ზუსტი პროგნოზები

მართალია, 2021 წელი, მესამე თვეა, დაიწყო, მაგრამ მაინც აქტუალურია კითხვა – იქნება 2021, 2020-ზე უკეთესი? – უეჭველად, მაგრამ ჩვენ ვერასდროს დავუბრუნდებით ჩვენს ყოფილ ცხოვრებას. სამყარო სამუდამოდ შეიცვალა.

ჰკითხეთ ნებისმიერ მასწავლებელს და გეტყვით, რომ თუ კლასის ერთ კუთხეში, ხულიგნების სამეული შეიკრიბება, საკლასო ოთახში აუცილებლად ქაოსი იქნება. პრობლემასთან გამკლავების საუკეთესო გზა მათი დაშორებაა; მსგავსი პრინციპი მოქმედებს სამყაროშიც: 2020 წლის დასაწყისში, იუპიტერი, სატურნი და პლუტონი, თხის რქის ნიშანში, თითქმის ერთ წერტილში გადაიკვეთნენ, რით დასრულდა ეს შეხვედრა, ვფიქრობ, დიდხანს არ დაგვავიწყდება.

ჩვენს ჰოროსკოპში ვარსკვლავები აჩვენებენ მხოლოდ ბილიკის მიმართულებას, რომლის გასწვრივ, თქვენ თვითონ მოგიწევთ სიარული.

2021 წლის დადგომისთანავე, იუპიტერმა და სატურნმა, რომლებიც, მართალია, არცთუ შორს არიან ერთმანეთისგან, პლუტონი დატოვეს და მერწყულის ნიშანში გადავიდნენ.

იუპიტერმა მნიშვნელოვანი სიჩქარე აიღო და მაისის ბოლოს, თევზებში იქნება; ამრიგად, ჩვენი სამეული სხვადასხვა ნიშანში განთავსდება – თუ ჩვენს ანალოგს დავუბრუნდებით, ეს იგივეა, რაც ხულიგნების დასმა სხვადასხვა მერხზე და, შესაბამისად, ეს წელი ვეღარ შეძლებს რაიმე განსაკუთრებული პრობლემის შექმნას.

გასაკვირი არ არის, რომ გვაწუხებს სატურნის, პლუტონისა და კორონავირუსის პანდემიის მდგომარეობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს პლანეტების კიდევ ერთი კომბინაცია, რადგან მას განზრახული აქვს, განსაზღვროს ჩვენი ცხოვრების მონახაზი მაშინაც კი, როდესაც ამჟამინდელი კრიზისი დასრულდება და ისტორიის საკუთრება გახდება.

სხვათა შორის, 2020 წლის ბოლოს, კერძოდ, 21 დეკემბერს, ცაში იუპიტერი და სატურნი გადაიკვეთნენ. მათი შეხვედრა, რომელიც ოც წელიწადში ერთხელ ხდება, ამჯერად, მერწყულის ნიშანში გაიმართა, რომელიც ჰაერის ელემენტს მიეკუთვნება.

შორეული მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ჩვენი პლანეტები ხვდებოდნენ დედამიწის ნიშნებს და მხოლოდ ახლა გადადიან ისინი ჰაერის ელემენტში, რომელიც მათი შეხვედრის ადგილად, ოცდამეორე საუკუნის ბოლომდე დარჩება, როდესაც პლანეტები „წყლის“ ნიშნებში შეხვდებიან.

იმისთვის, რომ იუპიტერმა და სატურნმა ოთხივე ელემენტი გაიაროს, დაახლოებით, რვაასი წელია საჭირო; შუა საუკუნეებიდან, ეს ციკლი კორელაციაშია მნიშვნელოვანი ისტორიული ეპოქების შეცვლასთან. დასრულდა ძლიერი მანქანების, წიაღისეულისა და საწვავის ეპოქა, რომლებიც დაკავშირებულია დედამიწის ნიშნებთან; დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ინფორმაციისა და მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის წესია.

პლანეტის რესურსების დაუფიქრებელი მოხმარება და ნარჩენებით დანაგვიანება, თანდათან, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და გაფრთხილების საკითხებით იცვლება. სულ სხვა მომავალი გველოდება, სადაც ყველაფერი უფრო სწრაფი, სუფთა, სამართლიანი იქნება – ესენია ჰაერის ელემენტის მთავარი, გამორჩეული თვისებები, რომლებსაც უნდა ჩავუღრმავდეთ და ვისწავლოთ საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენება.

ასე რომ, 2020 წლის საშინელებები უკან იხევენ, ხოლო მომავლის პერსპექტივები (შორეული) – შესანიშნავად გამოიყურებიან.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, 2021 იქნება წელი, რომელსაც ხელახლა განვაახლებთ, ცხოვრებას თავიდან აღვადგენთ. სატურნი, 2021 წლის დიდ ნაწილს, ურანთან დაპირისპირებაში გაატარებს. ისინი აღმოჩნდებიან ერთმანეთის საპირისპიროდ, ორივე გიგანტი საკუთარ გავლენას გააძლიერებს, მაგრამ თუ სატურნი ცდილობს, შექმნას საიმედოობა, მყარი საფუძველი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება, ურანი ცდილობს, გაანადგუროს დაბრკოლებები და სიახლე ჩანერგოს.

ცხადია, ასეთი ენერგიული მოქმედება არ დასრულდება ხმაურისა და დაბნეულობის გარეშე; იმედია, ურანის მიერ „დაანონსებული“ მასიური ნგრევა, უკეთეს გზას გაასუფთავებს. არა მხოლოდ შეეცდება სტატუს-კვოს აღდგენას, არამედ, მრავალი წლის განმავლობაში, ზრდისა და კეთილდღეობის საფუძველს უზრუნველჰყოფს.

თუ ურანი გამანადგურებელმა საქმიანობამ გაიტაცა, სატურნი ხელს შეუწყობს მის აღკვეთას; მრავალი ჩვენგანისთვის, წარსულის გარჩევისა და ცხოვრების თავიდან დაწყების დრო მოვა – მაშინაც კი, თუ ეს დაგეგმილი ნაბიჯი კი არა, არამედ, იძულებითი ღონისძიებაა. ბევრი შრომა მოგიწევთ, მაგრამ ბოლოს, ყველაფერი ძალიან კარგად გამოვა. იქნებ, უფრო ხშირად უნდა მივცეთ საკუთარ თავს ასეთი შესაძლებლობა? წარმატება ხომ, პირველ რიგში, აზროვნების მოქნილობასა და სიახლის მოსინჯვას მოითხოვს. გარდა ამისა, სატურნთან ყოველთვის ადვილია მოლაპარაკება, როდესაც ის მერწყულში იმყოფება – ამ შემთხვევაში, ის უფრო მეგობრული და გულუხვია, თხის რქის ნიშანში კი იგი ხშირად თამაშობს მოწინააღმდეგის როლს, ქმნის სხვადასხვა დაბრკოლებებს.

ჯამში, დაბრკოლებები წარსულში რჩება და, როგორც ჩანს, მოდის დრო, როცა ყველაფერი შესაძლებელია...

მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულო ამბავია, რომ ვენერა და მარსი, მომავალ წელს ერთად გაატარებენ! 2020 წელს, მათ შეხვედრა ვერ მოახერხეს, მაგრამ ახლა, მათი პაემანი საბოლოოდ შედგება და ზაფხულის რამდენიმე კვირის განმავლობაში, ორი პლანეტა დაახლოვდება. სწორედ ამის შემდეგ დაიწყება განახლება, ხალხის შეკრება და მათი წახალისება, საერთო მომავლის შესაქმნელად. ამრიგად, 2021 წელს იქნება ყველაფერი: პერსპექტივები, ინოვაციები, შესაძლებლობა, რათა თქვენს გარშემო, სამყარო გაუმჯობესდეს და ბოლოს, მოდით, თამამად, შიშის გარეშე, თვალი გავახილოთ და მისი საჩუქრები სრულად გამოვიყენოთ!

ძილის უკმარისობა ასუქებს

ადამიანების სწრაფი გასუქების ერთ-ერთი მიზეზი სწავლულებმა გაარკვიეს, ახალი ზელანდიიდან. მათი განცხადებით, ბავშვობაში არასაკმარისმა ძილმა, შესაძლოა, ორგანიზმის ძლიერი გაცხიმოვნება გამოიწვიოს. საქმე ის არის, რომ არასაკმარისი ძილის დროს, ირღვევა ჰორმონალური ბალანსი, რაც მადას აძლიერებს. შედაგად, ადამიანი წონაში იმატებს.

მკვლევარებმა გააანალიზეს 200-ზე მეტი ბავშვის ცხოვრების სტილი – სამიდან შვიდ წლამდე. გაირკვა, რომ პატარები, რომლებსაც საკმარისზე ნაკლებ ხანს ეძინათ, უკვე შვიდი წლის ასაკში, ჭარბი წონისკენ იყვნენ მიდრეკილნი.

მარჯვენა ყურიდან უკეთ გვესმის

იტალიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ და ამუშავებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც მარჯვენა ყურით მოისმენენ. ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მარჯვენა ყურს უკეთ ესმის ლაპარაკი, ადრეც წამოაყენეს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ვერბალური ინფორმაცია თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მიერ მუშავდება.

მკვლევარებმა ამის შემოწმება გადაწყვიტეს და კვლევები სამ ეტაპად ჩაატარეს. სწავლულები 176 ადამიანის ქმედებას აკვირდებოდნენ, როცა მათ ხმამაღალი მუსიკის ფონზე ესაუბრებოდნენ. მათი 72% მოსაუბრისკენ მარჯვენა ყურით ბრუნდებოდა. დაკვირვებების შედეგად, იტალიელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უპირატესობანი, რაც დაკავშირებულია ტვინის ფუნქციონალურ ასიმეტრიასთან, ყოველდღიურ ურთიერთობებში ვლინდება და სულ მცირე დაკვირვებითაც შესამჩნევია.

კომუნალურებს კრიპტოვალუტით გადაიხდიან

ელექტროენერგიის მიმწოდებელი პორტუგალიური კომპანია Luzboa, ბოლო მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში, საკუთარი პროდუქციის გაყიდვას კრიპტოვალუტაზე აპირებს. როგორც კომპანიის პრეზიდენტი აცხადებს, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ახალ მეთოდს საგულდაგულოდ დატესტავენ და პოზიტიური შედეგის შემთხვევაში, მუდმივად გამოიყენებენ.

გათვლები ციფრულ ვალუტაზე იმ კლიენტებზეა ორიენტირებული, რომლებიც ენდობიან კრიპტოვალუტას და მას გადახდის სრულფასოვან საშუალებად მიიჩნევენ. კომპანიაში აცხადებენ, რომ ბიტკოინების დაგროვებას არ აპირებენ და ციფრულ ვალუტაში შესრულებულ ყველა გადახდას, მაშინვე ევროში გადაიყვანენ. აღსანიშნავია, რომ ბიტკოინის ღირებულებამ, იანვრის მონაცემებით, 40 ათას დოლარს გადააჭარბა.

საიტი სიკვდილის შიშს დაგაძლევინებთ

ბრიტანულმა კრეატიულმა კომპანიამ – The Liminal Space, შექმნა საიტი – Life Support, რომლითაც ადამიანებს დაეხმარებიან, უკეთ ჩასწვდნენ სიკვდილის არსს და მისი გარდაუვალობა მიიღონ. კონტენტი დიდი ბრიტანეთის სამედიცინო აკადემიის მხარდაჭერით შეიქმნა.

საიტზე შეგიძლიათ, მოიძიოთ ინფორმაცია იმის შესახებ, როგორია სიკვდილი, როგორ შეინარჩუნოთ ღირსება სიცოცხლის ბოლოს და როგორ გადალახოთ ამ თემის განხილვის შიში. მომხმარებლებს საიტზე ექსპერტების მოსაზრებების გაცნობაც შეუძლებათ, ასევე, მიიღეებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, ნახავენ ისტორიებს მათი პირადი გამოცდილებიდან, რომლებმაც სიკვდილს „თვალებში ჩახედეს“.

რესურსის შემქმნელები აღნიშნავენ, რომ კორონავირუსის პანდემიისას, მაღალი სიკვდილიანობის გამო, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

დეპარდიეს ბრალი წაუყენეს

პოპულარულ ფრანგ მსახიობს, ჟერარ დეპარდიეს, საფრანგეთის პროკურატურამ ბრალი წარუდგინა 20 წლის მსახიობის გაუპატიურებისა და მასზე ძალადობის გამო. ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა ავრცელებს. გამოცემის ცნობით, შემთხვევა 2018 წელს მოხდა, საქმის გამოძიება კი 2019 წელს, მტკიცებულებების არარსებობის გამო შეწყდა. დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, შარშან გამოძიება კვლავ განახლდა.

ირკვევა, რომ დეპარდიე ქალს კარიერის აწყობაში დახმარებას დაჰპირდა და საკუთარ სახლში, პარიზში, რეპეტიციაზე დაიბარა. გამოცემის ცნობით, მან დამწყებ მსახიობზე იძალადა. როგორც დაზარალებულის ადვოკატი აცხადებს, 72 წლის ჟერარ დეპარდიე არ დაუკავებიათ, თუმცა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. პოპულარული მსახიობი ქალზე ძალადობის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

სიმშვიდეს მონატრებული ძებნილი პოლიციას ჩაბარდა

მამაკაცი, რომელზეც ინგლისში პოლიციას ძებნა ჰქონდა გამოცხადებული, სამართალდამცავებს თავად ჩაბარდა. მიზეზი ის იყო, რომ აღარ სურდა, კარანტინში დრო ოჯახის წევრებთან ერთად გაეტარებინა. ძებნილმა, რომლის ვინაობასაც არ ახმაურებენ, განაცხადა, რომ დიდი იმედი აქვს, ციხეში მაინც იპოვოს ნანატრი სიმშვიდე და სიწყნარე.

როგორც ჩანს, მისთვის პატიმრობა უფრო სასურველი აღმოჩნდა, ვიდრე კარანტინში, ახლობლებთან ერთად ყოფნა. პანდემიის გამო, მრავალთვიანი იზოლაციის შემდეგ, ასეთი საქციელი, ალბათ, გასაკვირი არავისთვის იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდმა, არაერთი კვლევის თანახმად, ადამიანების მენტალური ჯანმრთელობა გააუარესა და მოსახლეობაში სტრესისა და დეპრესიის დონე გაზარდა.

ვაქცინაციისთვის მოხუცმა კილომეტრები ფეხით იარა

ამერიკელმა ქალმა, 90 წლის ფრენ გოლდმანმა, რომელიც სიეტლში ცხოვრობს, დიდთოვლობის მიუხედავად, კორონავირუსის დაგეგმილ აცრაზე უარი არ თქვა და კლინიკაში მისასვლელად 9.6 კილომეტრი ფეხით იარა. ადგილობრივი მედიის ცნობით, მოხუცი ვაქცინაციაზე ჩაწერას სხვადასხვა ცენტრში რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა. როცა ეს მოახერხა, სიეტლში დიდთოვლობა დაიწყო. გოლდმანმა იფიქრა, რომ ასეთ ამინდში ტრანსპორტით გადაადგილება გაუჭირდებოდა, ამიტომ ჯერ შეამოწმა, შეძლებდა თუ არა ჩაწერის დღეს, კლინიკაში ფეხით მისვლას.

მოხუცმა გზის ორი მესამედის გავლა ფეხით შეძლო და დარწმუნდა, რომ დანიშნულების ადგილამდე აუცილებლად მიაღწევდა. მეორე დღეს, გოლდმანი ვაქცინაციისთვის თხილამურების ჯოხით გაეშურა. გზა მარტივი არ იყო – აღნიშნა მონდომებულმა მოხუცმა. ამის მიუხედავად, მას აცრაზე მხოლოდ 5 წუთი დააგვიანდა.

სახლმა ქალაქის ქუჩები შემოიარა

აშშ-ში, სან-ფრანცისკოს მცხოვრებლები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ – ქვეითად მოსიარულეებისა და ავტომანქანების გვერდით, ქუჩაში, 139 წლის ვიქტორიანული ეპოქის სახლი "მისეირნობდა". რამდენიმე დღის წინ, სატვირთო მანქანის მეშვეობით, სახლი ერთი ქუჩიდან მეორეზე გადაიტანეს. ამ პროცესს, რომელიც საზეიმო სვლას უფრო ჰყავდა, უამრავი აღფრთოვანებული ადამიანი ადევნებდა თვალს.

ვიქტორიანული სახლი ტიმ ბრაუნს ეკუთვნის. მან შენობა 2013 წელს შეიძინა, რომელიც ახლა 17-საცხოვრებლიან ბინად გადაიქცევა. სახლის ძველ მისამართზე კი აპარტამენტების კომპლექსი აშენდება.

ვაქცინისთვის თავს მოხუცებად ასაღებდნენ

აშშ-ის ფლორიდის შტატში, ორმა ქალბატონმა, კორონავირუსის ვაქცინის მისაღებად, თავი მოხუცებად გაასაღეს. ვაქცინაციის ცენტრში ისინი მოხუცებივით ჩაცმულები მივიდნენ – ქუდები, ხელთათმანები და სათვალეები ეკეთათ და თან, პირველი აცრის ბარათები ჰქონდათ. თუმცა ფანდი არ გაუვიდათ – როცა მათი პირადობის მოწმობები და მართვის უფლებები შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ისინი 34 და 44 წლისები იყვნენ. როგორ მიიღეს ამ ქალბატონებმა ვაქცინის პირველი დოზა, გაუებარია. ცენტრის თანამშრომლებმა, სადაც 65 წელს გადაცილებულ ადამიანებს კორონავირუსის ვაქცინას უკეთებდნენ, პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა ქალები გააფრთხილეს, რომ ვაქცინის ურიგოდ მიღების კიდევ ერთი მცდელობის შემთხვევაში, ისინი გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან.

მოწყობილობა ინფარქტის მოახლოებას შეგატყობინებთ

გერმანელმა სწავლულებმა ჰამბურგის უნივერსიტეტიდან, პორტატული რადარი შექმნეს, რომელიც რამდენიმე წამში, უკონტაქტოდ აფიქსირებს დარღვევებს სისხლძარღვთა სისტემაში და ადამიანს ინფარქტის ან ინსულტის მოახლოებაზე დროულად აფრთხილებს. მოწყობილობა მცირე, სიგარეტის კოლოფის ზომისაა და რთულ სენსორულ სისტემას წარმოადგენს. ამ აპარატის გამოყენება სახლშიც შეიძლება.

ადამიანის ჯანმრთელობის უკონტაქტო მონიტორინგის დროს, პატარა სენსორები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მაჩვენებლებს აფიქსირებენ და მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, განგაშის სიგნალს რთავენ. ამ დროს, ადამიანი არ უნდა დაელოდოს შეტევას და სასწრაფო დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს. აღსანიშნავია, რომ ინფარქტი და ინსულტი მსოფლიოში გულსისხლძარღვთა ყველაზე ხშირი დაავადებებია.



კოვიდიანებს იღლიის სუნით გამოარჩევს

უკრაინის რადას დეპუტატი, ზელენსკის პარტიიდან „ხალხის მსახური“, ჟან ბელენიუკი აცხადებს, რომ საკუთარ თავში ახალი უნარები აღმოაჩინა. დეპუტატის თქმით, ახლა მას შეუძლია, სხეულის სუნით განსაზღვროს, ადამიანმა კორონავირუსი გადაიტანა, თუ არა.

„თავდაპირველად, საკუთარ თავს შევნიშნე უჩვეულო სუნი იღლიებიდან, მერე – ჩემს სპარინგ-პარტნიორებს (ბელენიუკი სპორტის კონტაქტური სახეობითაა დაკავებული, რომლის დროსაც, დიდი რაოდენობით ოფლი გამოიყოფა), რომელთაც ვირუსი გადაიტანეს“.

მისი თქმით, ეს „არომატიც“ ნივრის სუნს ჰგავს. სახალხო დეპუტატი დაინტერესებულია, მასავით სხვაც ამჩნევს კორონაგადატანილებს განსაკუთრებულ სუნს, თუ ეს უნიკალური უნარი მხოლოდ მას განუვითარდა. „თუ ასეთი მხოლოდ მე ვარ, დაუყოვნებლივ უნდა მკივაკითხო შოუს – „უკრაინა ეძებს ტალანტებს“, – ხუმრობს ბელენიუკი.

ტონობით შოკოლადი მოიპარა

ესპანეთში, ალიკანტეში, სამართალდამცავებმა სატვირთოს მძღოლი დააკავეს, რომელმაც 12 ტონა შოკოლადი მოიპარა. მამაკაცმა 250 ათასი ევროს ტკბილეული გერმანიიდან წამოიღო და ეს ტვირთი ესპანურ ქალაქ ელჩეში უნდა ჩაეტანა. მძღოლმა შოკოლადის გაყიდვა გადაწყვიტა და ამ ოდენების პროდუქტში, სულ რაღაც 1 200 ევრო აიღო.

პოლიციამ გაარკვია, რომ მამაკაცმა გადაზიდვების კომპანიაში 8 დღე იმუშავა. რეისამდე, ავტომობილის რემონტისთვის, მან უფროსს 1 000 ევრო გამოართვა. ესპანელმა სამართალდამცავებმა სატვირთო ალიკანტეში, გზაზე ცარიელი იპოვეს. ქურდის კვალი მალევე აღმოაჩინეს ერთ-ერთ საწყობთან და მეორე დილით, სატვირთოს მძღოლი დააკავეს.

ჰილარი პოლიტიკურ თრილერს წერს

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტობის ექს-კანდიდატი, ჰილარი კლინტონი, კანადელ მწერალ ლუიზა პენისთან ერთად, თრილერის ჟანრის რომანზე მუშაობს. წიგნში მოქმედება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გარშემო ვითარდება - მთავარი გმირი ახალი დანიშნულია თანამდებობაზე.

რომანის გამოსვლა, სახელწოდებით - State of Terror, ოქტომბრის შუა რიცხვებისთვისაა დაგეგმილი. მას გამოსაცემად, Simon & Schuster მოამზადებს.

რომანი მოგვითხრობს ტერორისტული შეტევების სერიაზე, რომელიც მსოფლიოში ქაოსს იწვევს. სახელმწიფო მდივანმა უნდა შეკრიბოს გუნდი შეთქმულების გასახსნელად.

გამომცემლობაში აცხადებენ, რომ ასე დეტალურად აღწერო, რა ხდება პოლიტიკურ კულისებს მიღმა, მხოლოდ „ინსაიდერს“ შეუძლია. ქალბატონი ჰილარი კლინტონის თქმით, ის ყოველთვის ოცნებობდა, ლუიზა პენისთან ერთად მუშაობაზე, რადგან ძალიან მოსწონს მისი წიგნები. რაც მთავარია, ჰილარი და ლუიზა დიდი ხნის მეგობრები არიან.

შეჭრილი თმა აუქციონზე გაყიდა

43 წლის სტილისტმა, ანდრეას ნუისელმა, გერმანის ქალაქ ბაიროიტიდან, ინტერნეტ-აუქციონზე, გასაყიდად გაიტანა „ლოქდაუნის“ შემდეგ, პირველად შეჭრილი თმა. ამ უჩვეულო ლოტში, მყიდველმა 422 ევრო გადაიხადა, რომელსაც სტილისტი საქმელმოქმედო ფონდს გადასცემს.

გერმანიაში სალონები გასული წლის 16 დეკემბერს დაიკეტა. როდესაც 1 მარტიდან, ქვეყანაში კარანტინის შესუსტების შესახებ გამოცხადდა, ნუისელთან უამრავმა კლიენტმა დარეკა და წინასწარ ჩაეწერა. 10-კვირიანი „ლოქდაუნის“ შემდეგ, სალონის სტუმრობის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ სტილისტმა გადაწყვიტა, პირველი მიღება აუქციონზე გაეტანა.

ტაძარი ყველა რელიგიისთვის

გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში, წმინდა პეტრეს ტაძრის ადგილას, რომელიც 1964 წელს, კომუნისტებმა დაანგრიეს, რელიგიური ცენტრი აშენდება. მის ჭერქვეშ ლოცვა შეეძლებათ ქრისტიანებს, ებრაელებსა და მუსულმანებს. House Of One – პროექტის ოფიციალური ღირებულება 47 მილიონი ევროა.

საყოველთაო სამლოცველო სახლის მშენებლობას, რომელიც კონფესიათა შორის თანამშრომლობისა და დიალოგის სიმბოლო უნდა გახდეს, თითქმის ათი წლის განმავლობაში გეგმავდნენ. შენობის არქიტექტორია, გერმანელი კუენ მალვეცი.

ერთ ჭერქვეშ იქნება ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა. საერთო დარბაზში მოეწყობა სხვადასხვა დისკუსია და ღონისძიებები, რომლებსაც ყველა აღმსარებლობის ადამიანი და ათეისტებიც კი დაესწრებიან. რელიგიური ცენტრის მშენებლობის დაწყება მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი და როგორც ვარაუდობენ, ოთხ წელიწადში დასრულდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.